

თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე (თბილისი)


კოორდინაციული მართვის ტიპებისათვის თანამედროვე ქართულში

1) კოორდინაციული მართვისათვის აუცილებელია, სახელური კოორდინატები მართავდნენ ძირითად კოორდინატს პირში და ითანხმებდნენ მას რიცხვის მიხედვით, ხოლო ზმნური კოორდინატი მართავდეს მათ (მორფოლოგიურ სუბიექტსა და მორფოლოგიურ ობიექტებს) ბრუნვაში.


სახელურ კოორდინატთა პირი თუ რიცხვი ხან რეალურად აისახება ზმნურ კოორდინატში, ხან პოტენციურად, მაშასადამე, მორფოლოგიური სუბიექტი და მორფოლოგიური ობიექტები ყოველთვის მართავენ ძირითად კოორდინატს პირში და ითანხმებენ მას რიცხვის მიხედვით (ზოგი გამონაკლისის გარდა).

ზემოთქმულის მიხედვით, თანამედროვე ქართულში კოორდინაციული მართვის ოთხი ტიპი გამოიყოფა:


ა) ძირითადი კოორდინატისაგან სახელურ კოორდინატთა მართვა ორსახელიან გარდამავალზმნიან წინადადებაში (როცა ძირითადი კოორდინატი მართავს მასთან დაკავშირებულ ორსავე სახელს ბრუნვის მიხედვით):




ბ) ზმნური კოორდინატის მიერ სახელურ კოორდინატთა მართვა სამსახელიან გარდამავალზმნიან წინადადებაში (როცა ძირითადი კოორდინატი მართავს მორფოლოგიურ სუბიექტსა და ბრუნვაცვალებად მორფოლოგიურ ობიექტს, ხოლო ბრუნვაუცვლელი მორფოლოგიური ობიექტი უმართავია):




გ) ძირითადი კოორდინატისაგან მორფოლოგიური სუბიექტის მართვა მედიოაქტივზმნიან (ორსახელიან) წინადადებაში (მორფოლოგიური ობიექტი აქაც უმართავია):



დ) ზმნური კოორდინატის მიერ მორფოლოგიური სუბიექტის მართვა მედიოაქტივზმნიან (ერთსახელიან) წინადადებაში:



2) რაც შეეხება რელატიურ-გარდაუვალზმნიან და აბსოლუტურ-გარდაუვალზმნიან წინადადებებს, ამ შემთხვევებშიც ზმნა მართულია სახელების მიერ პირში, აგრეთვე შეთანხმებულია რიცხვის მიხედვით, მაგრამ თავად ვერ მართავს მათ (სახელებს) ბრუნვაში:



T. V a s h a k i d z e (Tbilisi)


Towards the Types of Coordinative Governing in the Modern Georgian

1) For coordinative governing it is necessary that nominal coordinatives govern a basic coordinative according to a person and a number, and verbal coordination governs them (morphological subject and morphological object) in case.


A person and a number of nominal coordination is really reflected in a verbal coordinative or potentially, consequently, morphological objects always govern a basic coordinative according to a person and a number (besides some exceptions).

According to above mentioned, four types of coordinative governing are distinguished in the Modern Georgian:


a) Governing the nominal coordinatives by a basic coordinative in a sentence with two nouns and a transitive verb (when a basic coordinative governs both nouns connected with it according to a case):




b) Governing of nominal coordinatives by a verbal coordinative in a sentence with three nouns and a transitive verb (when a basic coordinative governs a morphological subject and a case-changing morphological object, but a case-non-changing morphological object is not governed):




c) Governing of a morphological subject by a basic coordinative in a sentence with a medial-active verb with two nouns (morphological object is not governed even here):



d) Governing of a morphological subject by a verbal coordinative in a sentence with a medial-active verb (with one noun):



2) As for the sentences with relative intransitive and absolute-intransitive verbs, even in this case a verb is governed by nouns according to a person and a number, but a verb itself can not govern them (nouns) in a case:



რ. ზ ე ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

მოდლობის გამონატვის საშუალებათა სისტემა და სემანტიკური ნიუანსები ქართულ დისკურსში

მოდლობა მიეკუთვნება ბუნებრივი ენის ძირითად კატეგორიებს და „განმსჭვალავს მეტყველების მთელ ქსოვილს“ [ვინოგრადოვი, 1975]. მოდლობის კატეგორია ენობრივი უნივერსალია, თუმცა მეტად რთული, მრავალმხრივი და საკამათო.

მოდლობისთვის ამოსავალია მოუბარი პირის პოზიცია, თუ რა დამოკიდებულებაშია გამონატქვაში ან მასში ასახული შინაარ-

სი სინამდვილესთან. აქ იგულისხმება მიმართება კომუნიკაციის სამ ფაქტორს – კომუნიკანტებს, გამონათქვამით გადმოცემულ შინაარსსა და ობიექტურ რეალობას შორის.

1. ამ მორფოსემანტიკური კატეგორიის პირველი ასპექტი – მოქმედების სუბიექტის დამოკიდებულება მოქმედებასთან – ახასიათებს წინადადებაში ზმნით გამოსატულ მოქმედებას, როგორც ჯერ კიდევ შეუსრულებელს, მაგრამ დასაშვებს: აუცილებელს, სავალდებულოს, შესაძლებელს, ნებადართულს, უნებურს, სასურველს, სანატრელს.

2. მეორე ასპექტი – მოუბარი პირის (ავტორის) დამოკიდებულება გამონათქვამთან – ასახავს დარწმუნების ან დაეჭვების ხარისხს გამონათქვამის შინაარსისადმი და მოიცავს რამდენიმე სემანტიკურ ნიუანსს: დარწმუნებულობას, უეჭველობას, ვარაუდს, დაეჭვებას, დაურწმუნებლობას, უნახაობითობას.

3. მოდალობის მესამე ასპექტი – გამონათქვამის შინაარსის დამოკიდებულება სინამდვილესთან – წარმოადგენს წინადადების (სამეტყველო აქტის) რეალობა-არარეალობის შეფასებას მოუბარი პირის მიერ.

ზეპირ დისკურსში მოდალობის ენობრივი ერთეულების შერჩევა განპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით: ადრესანტის ინტენციით (საკომუნიკაციო მიზნით), კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლებით, მათი ურთიერთდამოკიდებულებით, სიტუაციით ანუ პრაგმატული კონტექსტით, წერილობით ტექსტებში კი – ავტორის მიზანდასახულებით, ტექსტის ჟანრით, თემატიკით, გადმოსაცემი შინაარსით, თხრობის სტილით და ა. შ.

მოდლობა, როგორც მორფოსემანტიკური კატეგორია, ქმნის ერთიან სისტემას და მოიცავს ენის ყველა დონეს. მის სემანტიკურ ველში ქართულ დისკურსში გამოვყოფთ გრამატიკულ და მორფოლექსიკურ დონეებს.

I. მორფოლოგიურ დონეზე მოდალობის გამომხატველი საშუალებებია:

1. ზმნის კილო (თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი, პირობითი, უნახაობითი), რომლის სემანტიკა მრავალფეროვანია. გარდა კავშირებითის მწკრივებისა, მოდალური ნიუანსები კონტექსტის მი-

ხედვით გადმოიცემა უწყვეტლით, ხოლმეობით-შედევობითით, წყვეტილით, I და II თურმეობითებით. ვფიქრობთ, უნახაობითობა I და II თურმეობითებში (ზოგ დიალექტში – ახლანდელ დროშიც: *ნაყვარება, ნაწერავა, დანავალა...*) უნდა მივიჩნიოთ კილოს ერთ-ერთ სახეობად, როგორც მოუბარი პირის დამოკიდებულების გამოხატვა გამონათქვამის სარწმუნოებისადმი.

2. **ზმნისწინებისა და გვარის** რამდენიმე სპეციფიკური სემანტიკური ნიშან-თვისება (მიჩნევა, გუნება-განწყობილება, პოტენციულისი, უნებლიობა).

II. **მორფოლექსიკურ დონეზე** – მორფოლექსიკური და ლექსიკური საშუალებები, რომელთაც უწოდებენ **მოდალურ კომუნიკაციურ ერთეულებს [ლანგნერი, 1994]:**

ა. მოდალური სემანტიკის **ზმნები** (*სჯერა, სწამს, ჰგონია, ფიქრობს, ვარაუდობს, ეჭვობს, მიაჩნია, თვლის, ეჩვენება*) და **მეშველზმნიანი** შესიტყვებები;

ბ. მოდალური **ზმნიზედები** (*აღბათ, სავარაუდოდ, დარწმუნებით, უეჭველად, უდავოდ, უცილობლად, უკამათოდ, ნამდვილად, ჭეშმარიტად...*);

გ. მოდალური **ნაწილაკები** (*ეგებ, დაე, უნდა, აკი, ხომ, განა, ნუთუ, ნეტა...*);

მოდალურ ლექსიკურ ერთეულებს ხშირად აქვს სემანტიკური შეხამების უნარი და გარკვეულ მწკრივთან კომბინაციით გამოხატავს მოდალურ შინაარსს.

III. **სინტაქსურ დონეზე:**

1. წინადადებათა სახეები მოდალობის მიხედვით (განსაკუთრებით – კითხვითი, ბრძანებითი, ძახილისა და კითხვა-ძახილის);

2. პასიური მიმდებარე კონსტრუქციები (*მე ვასაკეთებელი მაქვს, ეს დასაწერია*);

3. დამოკიდებულ წინადადებათა ზოგიერთი სახე (ვითარების, მიზეზის, მიზნის გარემოებითი, პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებები);

4. ფუნქციურად ამ ჯგუფში ერთიანდება ჩართული (პარენთეზული) სიტყვა-გამოთქმებიც (*ვინ იცის, ღმერთმა უწყის, კაცმა რომ თქვას, როგორც ჩანს, როგორც ეტყობა, რასაკვირველია, ცხა-*

დია, ბუნებრივია, რა თქმა უნდა, უეჭველია, რა სადავოა, რა სა-
ლაპარაკოა...).

ნებისმიერი სახის დისკურსში – წერილობითს ტექსტსა თუ
ზეპირ მეტყველებაში – მოდალობა გამოიხატება არა ერთი, არა-
მედ რამდენიმე საშუალების კომბინაციით.

მოდალობა, როგორც მორფოსემანტიკური კატეგორია, ქარ-
თულში ქმნის ერთიან სისტემას, წარმოდგენილია ენის ყველა დო-
ნეზე და მოიცავს შემდეგ სემანტიკურ ნიუანსებს: მოქმედების შე-
საძლებლობას, სასურველობას, აუცილებლობას, ნებართვას, აკ-
რძალვას; მოუბარი პირის დარწმუნებულობის (დაეჭვების) ხარისხს
გამონათქვამის ჭეშმარიტებაში (ვარაუდს, ჰიპოთეზას, მოსაზრებას,
დაშვებას, დარწმუნებას, უეჭველობას, დაურწმუნებლობას, დაეჭვე-
ბას, ყოყმანს...) და მიმართებას ობიექტურ სინამდვილესთან: რო-
გორ აფასებს მოუბარი (ავტორი) ენობრივად გამოსატულ ფაქტს –
რეალობად თუ არარეალობად.

R. Z e k a l a s h v i l i (Tbilisi)

System of Methods for Expressing Modality and Semantic Nuances in Georgian Discourse

Modality belongs to the general categories of natural language and
“pierces the entire speech material” [Vinogradov, 1975]. Category of modality
is lingual universal, though too complex, multilateral and debatable.

Position of speaker is essential point for modality, what kind of attitude
expression or the content reflected in it has towards reality. Here relation between
three factors of communication is meant: between **communicants, content rep-
resented by expression and objective reality**.

1. The **first** aspect of this morphosemantical category – attitude of the
subject towards action – defines action denoted by verb in the sentence as still
unrealizable but possible: inevitable, obligatory, possible, allowed, involuntary,
desirable, desired.

2. With the help of the **second** aspect – attitude of the speaker (author) towards expression – quality of certainty and doubt for the content of the expression is reflected and it includes several semantic nuances: certainty, certitude, supposition, doubt, uncertainty.

3. The **third** aspect of modality – attitude of the expression content towards reality – is the estimation of reality-unreality of the sentence (speech act) by the speaker.

Selection of lingual units of modality in oral discourse is defined by the extra-linguistic factors: intention of addresser (for the purpose of communication), social characteristics of communicants, their interrelation, situation or pragmatic context. Their selection in written texts is based upon intention of the author, genre of text, themes, content to be expressed, style of narration, etc.

Modality, as morphosemantic category creates united system and covers each level of language. Within its semantic field, **grammatical** and **morpholexical levels** are outlined in Georgian discourse.

I. Methods of expression modality on **morphological level** are:

1. Mood of verb (indicative, imperative, conjunctive, conditional, unseen (*unaxaobiti*)).

Its semantic is various. Besides conjunctive forms, modal nuances according to context are expressed with the help of imperfect (*uçgvçeli*), conjunctive (conditional) (*xolmeobit-şedegobiti*), aorist (*çgvçili*), the first and the second resultative (*turmeobiti*) forms. From our point of view, mood denoting the state of not having seen in the first and the second resultative tense forms (in some dialects – in the present tense: *naqvareba, nac'erava, danavala...*) should be regarded as one of the types of mood as an attitude of the speaker towards the certainty of the expression.

2. Several specific semantic characteristic of verbal **prefixes** and **voice** (consideration, mood, potentiality, involuntary).

II. On the **morpholexical level** – morpholexical and lexical means so-called **modal communication units** [Langner, 1994]:

a) **Verbs** having modal semantics (*şjera, sc'ams, hgonia, pikrobs, varaudobs, eç'vobs, miaçnia, tvlis, eçveneba*) and constructions with auxiliary verbs;

b) Modal **adverbs** (*albat, ueç'velad, udavod, savaraudod, darçmunebit, uciloblad, uk'amatod, namdvilad, e'eşmaritad...*);

c) Modal **particles** (*egeb, dae, unda, ak'i, xom, gana, nutu, net'a...*);

Modal lexical units often have ability of semantic combination and with the help of definite tense forms can express modal content;

III. On the **syntactical level**:

1. Sentence types according to modality (especially: interrogative, imperative, **exclamatory and** interrogative-exclamatory sentences);

2. Passive participial constructions (*me gasak'etebeli makvs, es dasac'eria...*);

3. Several types of subordinate clauses (adverbial clause of manner with the conjunction “*tiṭṭkos*”, causal clause, adverbial clause of purpose, conditional and concessive clauses);

4. Parenthetic word-expressions are included functionally in this group (*vin icis, ḡmertma uc'qis, k'acma rom tkvas, rogorc čans, rogorc et'qoba, rasak'virvelia, cxadia, bunebrivia, ra tkma unda, ueč'velia, ra sadavao, ra salap'arak'oa...*).

Modality in every kind of discourse (written text or spoken language) is expressed with the help of combination of several methods.

Modality as morphosemantic category creates united system in Georgian language, it is represented at each level of language and includes the following semantic nuances: possibility of the action, desirability, necessity, permission, prohibition; quality of certainty (doubt) of the speaker towards the verity of the expression (supposition, hypothesis, consideration, admission, certainty, certitude, doubt, uncertainty, hesitation...) and relation to objective reality: how speaker (author) estimates fact expressed linguistically – reality or unreality.

ნ. ზ ვ ი ა დ ა ძ ე (ქუთაისი)

თანამედროვე ანთროპოცენტრული ლინგვისტიკის მეცნიერული მემკვიდრეობა

თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიული, ისევე როგორც პრაქტიკული ასპექტები, ეყრდნობა ანთროპოცენტრიზმის პრინციპს. მიუხედავად იმისა, რომ ენა ყოველთვის წარმოადგენდა ეთნიკური ჯგუფის მკვეთრ მახასიათებელს, ენისა და კულტურის

კავშირი მაკროლინგვისტური პრობლემატიკის განუყოფელი ნაწილი იყო, რამაც პიკს ვ. ფ. ჰუმბოლდტისა და მის მიმდევართა შრომებში მიაღწია, თუმცა XX საუკუნის პირველ ნახევარში სტრუქტურალიზმის მიღწევების გამო ეს ტენდენცია მეორეხარისხოვნად იქცა. მიუხედავად გაბატონებული სისტემურ-სტრუქტურული და სტატიკური პარადიგმისა, XX საუკუნის დასასრულს ქანქარა კვლავ საწინააღმდეგო მიმართულებით გადაიხარა ანთროპოლოგიური, კოგნიტური და დინამიური პარადიგმისაკენ, რითაც ისევ დააბრუნა ადამიანი სამყაროს ხედვის ცენტრში.

აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის პირველ ნახევარში არსებული სტრუქტურალიზმის გავლენის პირობებში კ. ლ. პაიკის ლინგვისტური მოძღვრება ანთროპოცენტრიზმის პრინციპებს ეყრდნობა და ვითარდება ამ მიმართულებით. სწორედ, აქ შეინიშნება ანთროპოცენტრისტული პარადიგმის აგების კონტურები, რომელიც უფრო ჩამოყალიბებულ ფორმას მოგვიანებით, ათასწლეულთა მიჯნაზე აღწევს. „ანთროპოლოგიური პარადიგმა ასახავს დამკვირვებლის ინტერესის გარდაქმნას აღქმის ობიექტებიდან სუბიექტზე – ადგილი აქვს პიროვნების ანალიზს ენაში, ნაცვლად ენისა პიროვნებაში” (*მახლოვა* 2004).

პაიკის მიერ შემუშავებული ენის შესწავლის მეთოდი ხაზს უსვამს ადამიანის ფაქტორის გავლენას შესასწავლ მასალაზე. ენისა და ადამიანის ურთიერთკავშირს ღრმა ფსიქოლოგიური საფუძველი გააჩნია. ენას ადამიანური წარმოშობა აქვს. იგი არ არსებობს ამ ენაზე მოსაუბრე ხალხისაგან დამოუკიდებლად. ჩვენ ვერც კი ვიაზროვნებთ ამ კონტექსტის მიღმა. როგორც დ. უზნაძე შენიშნავს: „არაფერია ენაში ადამიანის გარეშე წარმოთქმული. ყველაფერი ენაში შექმნილია ადამიანის მიერ” (*უზნაძე* 1947).

კ. ლ. პაიკის ტაგმემიკური თეორია არ შეისწავლის საგანს „თავის თავში“. იგი არ იკვლევს მოვლენებს აღქმის ან წარმოთქმისაგან იზოლირებულად, განიხილავს რა საკითხებს დამკვირვებელთან კავშირში. ბუნება ცალკე მდგომი დამკვირვებლისაგან არ წარმოადგენს ტაგმემიკური ანალიზის ობიექტს. თეორია გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენს დამკვირვებელი მონაცემებზე და თავად როგორ ხდება მონაცემთა ნაწილი. პაიკი თეორიულ უპი-

რატესობას ანიჭებს ინდივიდებსა და მათ ურთიერთკავშირს ფორ-
მალიზმთან, წმინდა მათემატიკურ გამოთვლებთან და იდეალის-
ტურ აბსტრაქციებთან შედარებით. შესაბამისად, ტაგმემიკური თე-
ორია იკვლევს ენას ფართო კონტექსტში შეისწავლის რა ორივეს:
ვერბალურ და არავერბალურ ქცევას ისევე როგორც დამკვირვებ-
ლის – ლინგვისტის ფაქტორს.

თეორიაში გაშუქებული ზოგიერთი პრობლემა სათავეს იღებს
ისტორიული ჰორიზონტიდან და ჰუმბოლდტს უკავშირდება. „შედა-
რებითი ანთროპოლოგიის“ შექმნის იდეა ვ. ფ. ჰუმბოლდტისაგან
მომდინარეობს, რაც მოგვიანებით უფრო ჩამოყალიბებულ მიმარ-
თულებას და კონკრეტულ შინაარსს იძენს მეცნიერის ლინგვისტურ
თეორიაში. ჰუმბოლდტის მიხედვით, არაფერი ისე არ გვაახლოებს
ადამიანის და ერის იდუმალი ბუნების შეცნობასთან, როგორც მი-
სი მშობლიური ენა. ჰუმბოლდტის ენის თეორია მთელი თავისი
არსით ანთროპოცენტრულია.

ენათმეცნიერების მთავარ ამოცანად ჰუმბოლდტი მიიჩნევს
„ნამდვილ, ღირსეულ ხედვას ენისა მისი ქმედების გავრცელების
ადგილის წვდომით“, რაც გულისხმობს იმას, რომ აუცილებელია
შევისწავლოთ არა მხოლოდ წარმოთქმასთან დაკავშირებული სა-
კითხები, არამედ აზროვნებისა და აღქმის პრობლემებიც უთუოდ
უნდა იქცეს ენობრივი კვლევის ობიექტად.

აზროვნება ყოველთვის უკავშირდება ენას. სხვაგვარად ფიქ-
რი ვერ მიაღწევდა მის ნათელ გამოხატულებას და ვერ გარდაიქ-
მნებოდა შემეცნების ფორმად. მნიშვნელოვანია ჰუმბოლდტის შე-
ნიშვნა: „ენა აზრის წარმომშობი ორგანოა, თუმცა იგი არ არსე-
ბობს აბსტრაქტულად „ზოგადად ენაში“, არამედ კონკრეტულ
ენებში (*რამიშვილი* 1984).

მგავს პარალელებს ვაწყდებით პაიკის თეორიაში. მეცნიერი
უარყოფს ნებისმიერი სახის აბსტრაქციას და საკვლევ მასალას
კონკრეტულ ენებში მოიძიებს. მგავსი დამოკიდებულება შეინიშნე-
ბა ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების განხილვის კუთხი-
თაც. პაიკი აღნიშნავს, რომ არც ერთი ნიმუში არ არსებობს იზო-
ლირებულად სამყაროში, დამოუკიდებლად ფართო კონტექსტისა-
გან ისე, რომ მნიშვნელობას ინარჩუნებდეს. ენობრივი ერთეულები

ფართო კონტექსტში უნდა შეისწავლებოდეს.

მსგავსად მისი წინამორბედისა, პაიკსაც ასევე ღრმა რწმენა აქვს ადამიანისადმი. მისი ტაგმემიკური თეორია უნიკალურია XX საუკუნის რიტორიკულ თეორიათა შორის მისი უნარით მოიძიოს უნივერსალიები და იმ არსებითი მტკიცებულების გამო, რომ ტაგმემიკური აქსიომები ჭეშმარიტია ქცევის ყველა სახეობისათვის. სწორედ ეს გახლავთ საფუძველი აღნიშნული თეორიის მრავალმხრივი დატვირთვისა. იგი ფართოდ გამოიყენება არა მხოლოდ პედაგოგიკაში, არამედ ნათელს ჰფენს ფსიქოლოგიისა და განსაკუთრებით ანთროპოლოგიის კომპლექსურობასაც. თეორიის აგების პრინციპები ღირებულია ანთროპოცენტრული თვალსაზრისით, რადგან იგი ენისა და კულტურის ურთიერთკავშირს დამკვირვებლის (ადამიანის) პერსპექტივიდან შეისწავლის. ყოველგვარი საფუძველი არსებობს იმისა, რომ ტაგმემიკური თეორია თავისი არსით ანთროპოცენტრულად მივიჩნიოთ და განვაცხადოთ, რომ იგი წარმოადგენს ანთროპოცენტრული პარადიგმის ფორმირების ადრეულ მცდელობას, რაც იმავედროულად თეორიის ლინგვოკულტურული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა.

პაიკის საენათმეცნიერო მოძღვრების და სხვა ენათმეცნიერთა შრომების შეპირისპირებითი ანალიზის მიხედვით მოძიებულია მეცნიერული ხაზი, რომელიც კეთეს მთელს XX საუკუნეს, დასაბამს იღებს წინა აკადემიური მემკვიდრეობიდან და განსაზღვრავს შემდგომი ეპოქის ენათმეცნიერთა კვლევის სფეროს. ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები წარმოაჩენს იმ პრაქტიკულ ღირებულებას, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პაიკის მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდის აქტუალურობას ენის ანთროპოლოგიური პარადიგმის ფორმირების პროცესში.

თანამედროვე ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმი თანდათან იძენს ენისა და კულტურის შესწავლისაკენ მიმართულ ტენდენციას, რასაც ლინგვოკულტურული მიმართულება ეწოდება. შესწავლილი მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე პრინციპი – ანთროპოცენტრიზმი, ისევე როგორც კულტუროცენტრიზმი – ბოლომდე ექსპლიციტურად თუ არა, იმპლიციტური სახით მაინც რეალიზდება პაიკის თეორიაში.

N. Z v i a d a d z e (Kutaisi)

Scientific Inheritance of Modern Anthropocentric Linguistics

Theoretical as well as practical aspects of modern linguistics are based on the principle of anthropocentrism. Despite the fact that language has always been a clear identification feature of ethnic group, the connection of language to culture has always been indisputable macrolinguistic problems (language vs. culture), the interest towards which reached its peak in the works of W. V. Humboldt and other scientists, turned to be of a second rate in the first half of XX century, because of the achievements of structuralism. Though at the end of the previous century pendulum started to move to the opposite direction within the frames of the change of scientific paradigm of humanitarian knowledge, returning the person in the centre of the 'world built'.

It is noteworthy, that in the background of establishing dominating systemic-structural and static paradigm in the first half of XX century K. L. Pike's linguistic doctrine is inspired by anthropocentric principles and develops in its direction. This is where the contours building up anthropocentric paradigm can be seen, which developed to its more defined form later on, at the juncture of two millennia: "anthropological paradigm represents diverting observer's interest to the subject from the objects of perception, i.e. the analysis of a person in the language takes place instead of the language in the person" (Maslova 2004).

A method of language study introduced by K.L. Pike emphasizes the influence of a person on the research material. Language -human interrelation has deep psychological roots. Language has humanitarian origins and it does not exist outside this context. It is well-stated by D. Uznadze: "There is nothing in a language which is not said by a human being... Everything in a language is created by a man" (Uznadze 1947).

Pike's tagmemic theory does not study "thing-in-itself". It doesn't study events in isolation from perception and utterance. It studies the questions in connection with the observer. Nature as a thing set apart from the observer is not the matter of tagmemic analysis. Thus, people's linguistic hierarchy refers only to those issues which are being or were spoken about by people at particu-

lar stages of the past or present culture. The theory shows what kind of influence observer makes on the data and how the observer becomes the part of data himself. Pike gives theoretical preference to individuals and the relationship between them in comparison with formalism, pure mathematic calculations and idealistic abstractions. Consequently, tagmemic theory considers a language in a broad context studying both verbal and non-verbal behavior as well as a linguist himself - as a concrete observer.

Some of the problems highlighted in the theory dates back to historical horizon. The idea of forming "comparative anthropology" belongs to W. V. Humboldt (1795) which later on acquires more defined direction and concrete concept in his linguistic theory. According to Humboldt nothing brings us closer to the mystery of the nature of a man and a nation as its native language.

Humboldt's theory of language is anthropocentric in its essence.

The main objective of comparative linguistics according to Humboldt is "real, decent vision of the language, in the depth of distribution of its field of action". It means that we should explore the function of the language in a large scale - not only its relation to the utterance, but also to the thinking and sensitive perception.

Thinking is always connected with a language. Otherwise thought cannot reach its clear manifestation, cannot be able to turn into comprehension. The following Humboldtian note is of importance here: "Language is the organ of forming thought. Though, it doesn't happen in an abstract way, not "generally in the language" but in real, concrete languages. Humboldt considered exploring the attitude of languages toward "the world of images" the main purpose of his research (Ramishvili 1984)

We come across with similar parallels in Pike's theory. He ignores any kind of abstraction and finds the material under study in concrete languages. Similar approach can be traced in the relation of language and culture. Pike states that no model exists in isolation, autonomous from wider context remaining meaningful for people. Language units must be studied in broader context.

Like his predecessor, Pike also deeply believes in human being. His tagmemic theory is one of the unique theories among XX century rhetorical theories due to its trend to find out universals and the basic proof that tagmemic axioms are true for all kinds of behavior. That's why it is widely used not only

in pedagogical matters, but it also makes clear the complexity of psychology and anthropology, in particular. The principles of the tagmemic theory are rather valuable for anthropocentric study as it researches the question of language and culture interrelation from observer's perspective. There are all the reasons to state that tagmemic theory is anthropocentric to its core and there is given an early attempt of forming the anthropocentric paradigm which makes possible its linguocultural interpretation.

Modern linguistic anthropocentrism is gradually acquiring clear-cut tendency towards the study of the relation of language and culture which is called **linguocultural direction**. It can be concluded, that both principles anthropocentrism as well as culturocentrism - if not explicitly, still are realized in Pikes' theory in an implicit way.

მ. თ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი (მაინის ფრანკფურტი)

კოდების ცვლა, როგორც მრავალენოვნების თანამდევნი პროცესი და მისი სახეები

(უდიური ენის მასალის ანალიზი “ECLinG”-ის პროექტის ბაზაზე)

კოდების ცვლა ინდივიდის ან სოციუმის მიერ სამეტყველო ნაკადში ორი ან მეტი სხვადასხვა ენის (ენობრივი ვარიანტის), როგორც სამეტყველო კოდის, შენაცვლებითი გამოყენებაა. ენაში კოდების ცვლის პროცესი ბუნებრივი და მოსალოდნელიც კია პოლიეთნიკური სოციალური გარემოს პირობებში. იგი მთელ ენობრივ სისტემას მსჭვალავს და ენის ყველა დონეზე აღიწერება. ეს პროცესი, უპირველეს ყოვლისა, ლექსიკოლოგიის სფეროში თვალსაჩინოვდება ლექსიკური ნასესხობების სახით, რომლებიც იმისდა მიხედვით, მსესხებელი ენის სისტემაში ინტეგრაციის რა ხარისხს გვიჩვენებენ, სხვადასხვა ჯგუფებს ქმნიან: ნასესხობანი ფონოლოგიური, ფონოლოგიურ-ფონოტაქტიკური, მორფოლოგიური, მორფოსინტაქსური, პრაგმასინტაქსური ინტეგრაციით.

კოდების ცვლის შემთხვევები და გამომწვევი მიზეზები

ერთი ენიდან მეორეზე გადასვლას და, შესაბამისად, სამე-

ტყველო კოდის შეცვლას სუბიექტური (მაგ., უდიურ ენაზე ინფორმანტის მხრიდან საჭირო ლექსემის, უმეტესად დარგობრივი ტერმინოლოგიის არცოდნა) ან ობიექტური (შესაბამისი ლექსემის უდიურში არარსებობა) ფაქტორები განაპირობებენ:

ჰამეჯირწლულენ ბიძანყესა სჷთუნ. სჷთუნუნ ლახო ლადანხესა კირურუხ, ლახაყდანდესა რეიკიუხ. მეტუ ეზრყუნესა თეზაბა.

ასეთნაირად ვაშენებთ რიდეს. რიდეზე ვალაგებთ კოჭებს, ვიმაგრებთ ლარტყებს. ამას რას ეძახიან არ ვიცი.

სამეტყველო კოდების ცვლის განსაკუთრებულ შემთხვევად მიგვაჩნია ისეთი მაგალითები, რომლებშიც ინფორმანტი კოდის შეცვლას არა მხოლოდ ცალკეული (ინტეგრირებული ან არაინტეგრირებული) ლექსემის, არამედ ფრაზების ურთიერთმონაცვლეობის გზით ახდენს:

თენე ჰებსა, დავათეძანდუხსა, იხ ბენგინწნე. თჷქსჷ ჰება... გასხვლა როგორ არის ბეშმუზინ თეზაბა.

არაფერი უნდა, არ ვწამლაფთ, თავისთვის არის. მარტო ისა... გასხვლა როგორ არის ჩვენს ენაზე არ ვიცი.

სამეტყველო კოდის ცვლა ხშირად უშუალოდ, ვერბალური მარკირების გარეშე მიმდინარეობს, თუმცა კოდის გადართვას უმეტესწილად ისეთი პრაგმატულ-ინტერაქციული ელემენტი ახლავს, როგორცაა პაუზა. ზოგჯერ პაუზა, როგორც სამეტყველო ნაკადის მყოვარების ინტერაქციული სიგნალი, წინადადებაში ვერბალიზებულია, რაც დამატებით კოდიდან კოდზე გადამრთველი სიგნალის როლს ასრულებს.

კოდების ცვლის სახეები

უდი ინფორმანტები აცნობიერებენ კოდების ცვლის პროცესს, როგორც საკუთარი მეტყველების დამახასიათებელ ნიშანს და თავად საუბრობენ უდიური ენის ლექსიკური შერეულობის (ნასესხობების) შესახებ. პროცესუალურად რომ აღვწეროთ, ზოგადად კოდების ცვლის ორი სახე უნდა გამოვყოთ: გაუცნობიერებელი (უნებლიე) და გაცნობიერებული (ნებელობითი), რომლის ორი ქვესახე არსებობს:

ა) კოდის კონტროლირებადი ცვლა – ინფორმანტი სრულიად

გაცნობიერებულად, მიზანმიმართულად ცვლის კოდს, ვინაიდან სურს საკუთარი ინტელექტუალური დონის დემონსტრირება და პრესტიჟულად მიიჩნევს განსხვავებული კოდით სასურველი ობიექტის აღწერას; ამასთან, მოლაპარაკე დარწმუნებულია, რომ მის მიერ გამოყენებული კოდი ადრესატისათვის (ან ზოგადად, საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთათვის) გასაგებია.

ბ) კოდის უკონტროლო ცვლა – კოდის ცვლას ინფორმანტის მხრიდან არამიზნობრივი, გაუცნობიერებელი ხასიათი აქვს, რომელიც საკომუნიკაციო აქტის პროცესში შეიძლება გაცნობიერდეს და შესაბამისი სიგნალითაც გაფორმდეს სამეტყველო ნაკადში. კოდის უკონტროლო ცვლა ასეთ შემთხვევაში კვალიფიცირდება, როგორც საგანგებო შემთხვევა: კოდის უნებლიე ცვლის დაგვიანებული გაცნობიერება.

კოდის უნებლიე ცვლის დაგვიანებული გაცნობიერების შემთხვევაში ინფორმანტები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ.

1. ინფორმანტი თავად აკეთებს კომენტარს და განსაკუთრებული სიგნალის გარეშე უბრუნდება პირვანდელ კოდს – ადგილი აქვს კოდის უსიგნალო უკან გადმორთვას კომენტარის თანხლებით:

ოჰა მე ჭაპნუს გაფურჩქნადანბესა... ეს უკვე ქართული სიტყვაა... ხორადანდუსა.

მერე ამ ვენას ვფურჩქნით... ეს უკვე ქართული სიტყვაა... ვპურჩქნით.

2. ინფორმანტს ეჭვი შეაქვს საკუთარ კომპეტენციაში და შესაძლო ადრესატ(ებ)თან აზუსტებს ამა თუ იმ სიტყვის (გამონათქვამის) ადეკვატურობას კონტექსტთან მიმართებაში. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს მონოლოგური სამეტყველო აქტის დიალოგურით შეცვლას, რაც ხშირად წინადადების არასწორი გაფორმების მიზეზი ხდება.

სო..... ვაენი... ვაენი ვაენინე თე?... ვაენი აკადემინანე ჩარკე, ლოჩიკლულ.

ერთმა სამხედრო.. სამხედრო სამხედროა არა?... სამხედრო აკადემია დაამთავრა, პილოტობა.

კოდის ცვლა ჩვენს მასალაში უმეტესად გაუცნობიერებლად ხდება. კოდების გაუცნობიერებელი ცვლის შემთხვევაში, ზემოთ

განხილული პროცესებიდან გამომდინარე (ხარვეზული კომპეტენცია მშობლიურ ენაში), მეტყველების ნაკადი წყვეტილ ხასიათს იღებს და წინადადებათა ფრაგმენტები, რომლებიც გრამატიკულად არასწორად ფორმდება, საშუალებას არ აძლევს ინფორმანტს აზრი გასაგებად ჩამოაყალიბოს. ასეთ შემთხვევაში ენა კარგავს თავის უპირველეს ფუნქციას: გაგებინებადობას (უფრო ზუსტად, გამონათქვამის სიცხადეს), როგორც, მაგალითად, მომდევნო ორ წინადადებაში, სადაც თარგმანი კონტექსტუალურად არის აღდგენილი ჩვენ მიერ:

...ანი ა... კაკ კაცრია რა, კაკ... აი... კაკ სტროგი ანი, ოჩენ სტროგი.

“ისინი ბუნებით მკაცრი არიან, ძალიან მკაცრი”.

ა... ღარ ენესა და თელი მა... სტოლ ყაფუნესა ყა... შელ სუფრა... ყველაფერი რა...

“როდესაც ვაჟი მოდის, მდიდრულ მაგიდას შლიან, ყველაფერი აწყვია სუფრაზე.”

ასეთი ექსტრემალური შემთხვევები იდიოლექტური ხასიათისაა და კონკრეტულ ინფორმანტთა მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. აღნიშნული ინფორმანტი ნიჯიდან არის გამოთხოვილი და ხუთ სამეტყველო კოდს ხმარობს ერთდროულად: რუსულს, აზერბაიჯანულს, ქართულს და უდიური ენის ნიჯურ და ვართაშნულ დიალექტებს. ბუნებრივია, რომ კოდების ცვლა ასეთ შემთხვევაში გაცილებით ინტენსიურ ხასიათს ატარებს და ინდივიდუუმის თვითგამოხატვის რეალიზებას აფერხებს.

როგორც კვლევის პროცესმა გვიჩვენა, იმის დასადგენად, რამდენად ემუქრებათ ენებს გაქრობის საშიშროება, არანაკლებ მნიშვნელოვანია ენის არა მხოლოდ სოციოლინგვისტური, არამედ ლინგვისტური პარამეტრების კვლევა. ამასთან, ენის შენარჩუნებისა და მომავალი ფუნქციონირებისათვის იმდენად საშიში არაა ინტეგრირებული ლექსიკური ნასესხობები, რამდენადაც კოდების ცვლის არაინტეგრირებული შემთხვევები, რომლებიც ენის ეკოლოგიას საგრძნობლად არღვევენ, და კოდების ცვლის ისეთი შემთხვევები, რომლებიც სამეტყველო ნაკადის დესტრუქტურიზაციას იწვევენ, რის შედეგადაც მშობლიური ენა ვეღარ ასრულებს მის-

თვის დაკისრებულ თუნდაც მინიმალურ ფუნქციას: იყოს გაგებინებლობის საშუალება. ასეთ შემთხვევაში რეალურად დგება იმის საშიშროება, რომ მშობლიურ ენას სოციუმმა დომინანტური ენა ჩაუნაცვლოს.

M. T a n d a s h v i l i (Main Frankfurt)

Code Switching as a Concomitant Process of Multilingualism and Its Types

(analyse of Udi material on the basis of "ECLinG" Project)

Bilingualism and code switching as a concomitant process of bi- and multilingualism are a natural feature of languages. No language exists in isolation as all communities of speakers are exposed to the linguistic and cultural influences of neighbouring communities. This is why the investigation of bilingualism must be envisaged as an interdisciplinary task including, besides linguistics proper, the fields of sociolinguistics, ethnolinguistics and other subjects.

The present paper deals with questions of multilingualism in the Udi speaking community of Oktomberi / Georgia, with a special focus on code switching. Several cases of code switching as appearing in recent recordings of spoken Udi are analysed with respect to their linguistic characteristics and to a classification of the mechanisms involved.

В. Д. Т и м а е в (Грозный)

Лексические заимствования и их освоение в чеченском языке

В разные исторические периоды в исконный чеченский язык проникали слова из других языков. Иноязычная лексика – результат экономических, культурных, политических, военных отношений, складывав-

шихся на протяжении многих веков.

Заемствованная лексика, строго подчиняясь внутренним законам, особенностям грамматического строя языка, в процессе ее освоения подвергалась разного рода изменениям: фонетическим, морфологическим, семантическим. Характерные структурные изменения претерпевают заимствованные слова и исходя из фонетических особенностей заимствующего языка изменяют фонетический облик слова:

1. редукция гласных исхода слова: груз.: **вири «осел», ломи «лев», сангари «ров»**; чеч.: **вир, луом, саьнгар**; рус.: **машина, мотыга, минута**; чеч.: **машен, метиг, минуот**;

2. эпентеза: **труба – турба, класс – калас, кран – каран, клуб – кулуб, трамвай – тарамвай**;

3. метатеза: **кирпич (рус.) – кибарчиг, аклеми (груз.) – эмкал (чеч.) «верблюд»**;

4. замещение: **фуражка – хурашка, фургон – х1ургон, хутор – к1уотар, мунафикь (араб.) – мунепакь «безбожник»**; чуждый чеченскому языку звук **ф** замещается звуками **х, х1, п**;

5. мягкие согласные русского языка теряют мягкость: **учитель – учитал, букварь – буквар, сухарь – сухар**;

6. в заимствованиях из русского языка в результате редукции конечного **–н** предшествующий ему гласный становится назальным, а в заимствованиях из восточных языков **–н** в исходе исчезает бесследно: **вагон – вагу^н, погон – пагуо^н, сабун – саба «мыло»**.

Морфологические особенности заимствований прежде всего выражаются в том, что все без исключения заимствованные слова обладают всеми грамматическими категориями имен существительных чеченского языка:

1. семантическое противопоставление человека – нечеловека;

2. заимствованные имена существительные распределяются по грамматическим классам в зависимости от соотношения показателей единственного и множественного чисел, выступающих в соотнесенных с именем существительным словах; имена, обозначающие членов общества, распределяются в I или во II грамматических классах в зависимости от подразумеваемого пола (**партизан в, й – б; агроном в, й – б, пекъар «бедняга» в, й – б**); неразумные существа, названия вещей распре-

деляются в III, IV, V, VI грамматические классы. Большинство заимствований из восточных языков включаются в грамматический класс д-д (IV грам. кл.): **Аалам** «природа», **весет** «завешание», **къилба** «компас». Установить закономерность распределения имен, заимствованных из грузинского, тюркских языков, в тот или иной грамматический класс не удается. Большинство заимствований из русского языка включается в грамматический класс й-й: **институт, вокзал, космос, станции.**

3. все заимствованные имена существительные имеют форму множественного числа: **пальто – палто-ш, метро – метро-ш, купе – купе-ш, депо – депо-ш, клише – клише-ш;**

4. среди заимствований нет несклоняемых имен:

Им. пальт ō	деп ō	метр ō
Род. пальт ō ^н	деп ō ^н	метр ō ^н
Дат. пальт ō -на	деп ō -на	метр ō -на
Эрг. пальт ō -нуб	деп ō -нуб	метр ō -нуб
Твор. пальт ō -ца	деп ō -ца	метр ō -ца

5. Как и собственно чеченские имена лиц, заимствованные имена образуют три типа склонения: I тип (полный тип): **Михаил, Руслан, Тимур, Давыд**; II тип (слитный тип): **Лида, Зина, Карина, Миша**; III тип: **Натали, Серго, Николай, Мазай**. Нарисательные имена образуют два типа склонения в отличие от четырех типов исконных имен. Среди заимствований нет имен существительных, образующих вторую склоняемую основу с наращением **-(а)р** и имен, склоняющихся по принципу двух основ, когда второй склоняемой основой является основа эргативного падежа: Срв. в чеч. яз.:

Им. буотт «коробка»	диг «топор»
Род. бетт-а ^н	дагар-а ^н
Дат. батта- на	дагар- на
Эрг. батт- уб	дагар- уб
Твор. батта- ца	дагар- ца

В именах существительных, представленным в русском языке в форме мн.ч., в чеченском языке ту же грамматическую функцию выполняет аффикс мн.ч.: **шахматы – шахмат–аш, туфли – туфле-ш, коньки – коньке-ш, каникулы – каникул-аш.**

б. Конечный Согласный - **ш**- в слове **калуо-ш – калоша** (рус. яз) (гласный **-а** исхода в результате редукции теряется) воспринимается как показатель мн. ч. в чеченском языке (ед.ч.– **калуо**).

Особой разновидностью заимствований с точки зрения специфики их освоения являются лексические кальки с русского языка: собственно лексические и лексико-семантические. Первые из них образованы посредством буквального перевода каждой из значимых частей: **падеж – дожар, склонение – легар**. Примером семантической кальки является: **управление – урхалла, урх «вожжа» – архаш «вожжи»**, когда заимствованными являются значения. В чеченском языке немало т. н. русских полукалек, типа: **медйиша – медсестра, медбелхало «медработник»**.

V. T i m a e v (Grozny)

Lexical Borrowings and Their Assimilation in Chechen Language

The words from different languages were penetrating into the original Chechen language at different historical times.

Foreign borrowings are the result of economic, cultural, political and military relations historically formed during the centuries.

Lexical borrowings suffered different changes during the process of usage: phonetic, morphological and semantic.

Borrowings also undergo characteristic structural alterations changing phonetic aspect of word.

The morphological features of borrowings first of all are expressed in such a way that all the words without exception have grammatical categories of Chechen nouns.

ხ. თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

**ცნებითი აზროვნების უნივერსალური მოდელები
სხვადასხვა კულტურის კონტექსტში**
(არაბული და ქართული ანდაზების მაგალითზე)

მოსვენებაში წარმოდგენილი თემის აქტუალურობა იმით არის განპირობებული, რომ იგი ქართულ სამეცნიერო არაბისტიკულ კვლევაში ახალი საკითხის შემოტანის პირველი ცდაა.

ანდაზა მოცემული ეთნოსის – ერთიანი ეროვნული ცნობიერების ყალიბში „ჩამოსხმული“ ენობრივი კოლექტივის ვერბალური ფოლკლორის განუყოფელი ნაწილია, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მეტყველებასთან (მეტყველება, ბუნებრივია, თავის მხრივ, აზროვნების გამომხატველია). შესაბამისად, ის თავისებრივად (როგორც ფორმალურად, ისე შინაარსობრივად) იმ სამყაროს ყოფისა და მენტალიტეტის მიკრომოდელია, სადაც შეიქმნა და ფუნქციონირებს. მისი ძირითადი დატვირთვა მოცემული ეთნოსის გადასახედიდან დანახული სიბრძნის – ზოგადი კანონზომიერებების წვდომაა; იმ სინამდვილის სიღრმისეული გაგებაა, რომელიც, როგორც აღინიშნა, თავსდება „თანახმიერ ცნობიერებაში“ (ე. ბერნი), საერთო „მენტალური ენისა“ (რ. ჰასკელი) და ერთიანი ეროვნული აზროვნების სისტემაში, რასაც თითოეული ეთნოსი, ბუნებრივია, თავისი ფორმით გადმოსცემს, ანუ ის აიგება იმ კონკრეტული მასალისაგან, რომელიც ფიქსირებულია მოცემული ეთნოსის „აღქმის სენსორულ მასალაში“, ე.ი. მის მიერ სამყაროს ამ კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებულ გამოცდილებაში. ამიტომ არის რთული უცხოენოვანი ანდაზების სიღრმისეული გაგება და შესაბამისი ზოგადაზრობრივი განფენილობის რელევანტური ჩარჩოების (გამოყენების სფეროს) დადგენა. მისი შესწავლა (ენასთან ერთად) მისივე შემოქმედი ხალხის ეთნიკური თავისებურებების, „გენეტიკური მესხიერების“, მისი ეთნოფსიქოლოგიის შესწავლას გულისხმობს, რადგან ანდაზებში ჩადებული ცოდნა ამა თუ იმ ეთნოსის რაციონალურის, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის ირაციონალური სახით არსებული რესურსია.

მასალის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ანდაზის კომბინირებული აზრობრივი სტრუქტურა ერთდროულად ლოგიკური, ვერბალური და ცნებითი აზროვნების ელემენტებს მოიცავს. ლოგიკურს იმიტომ, რომ ის მოცემულ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა შორის ლოგიკურ მიმართებებს ასახავს; ვერბალურს იმიტომ, რომ ის კომუნიკაციური ერთეულია და, როგორც აღინიშნა, არსებითად დაკავშირებულია მეტყველებასთან; ხოლო ცნებითს იმიტომ, რომ მასში მოცემული მსჯელობა და დასკვნა ცნებით ოპერირებას ეფუძნება.

დასმული საკითხის გააზრებაში გამოგვადგა ტერმინი „იდენტა (წარმოდგენათა) ასოციაცია“ (ჯ. ლოკი). ეს ცნება გულისხმობს პროცესს, რომლის საფუძველზეც ფსიქოლოგიური აღქმები და წარმოდგენები ერთმანეთს უკავშირდება და წარმოქმნის რთულ, ფართო მნიშვნელობის იდეებს.

ამდენად, ანდაზის დეკოდირება, რომელიც აქტუალიზაციისას ინდივიდში (ან ინდივიდებში) ქვეცნობიერად მიმდინარეობს, ფსიქოლოგიურად „შემოქმედებით აქტს“ წარმოადგენს. ამ დროს მიმდინარე აზრმდებლობის პროცესი ზრდასრული, მენტალურად ჩამოყალიბებული ადამიანებისათვის არის განკუთვნილი, რომელთაც ძალუძთ ცნებებით აზროვნება (მაგალითად, ბავშვებში ეს პროცესი „საგნობრივი აზროვნების“ დონეზეა წარმოდგენილი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ანდაზა მის შექმნაში მონაწილე ზემოთ მითითებული ყველა კომპონენტის ერთობლივი „ამუშავებით“ იქმნება. თითოეული მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია. მათში ზედაპირულად და სიდრმისეულად ასახული ობიექტური სინამდვილე არ შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებელ საგნებად და მოვლენებად განვიხილოთ, რადგან ისინი ლოგიკური მიმართებების საშუალებით გარკვეულ ცნებით დამოკიდებულებაში მყოფი კანონზომიერებების მთელი სისტემაა. შესაბამისად, ანდაზის გაგება მხოლოდ ამ დამოკიდებულებათა წვდომით, მოცემული ეთნოსის ისტორიულ სინამდვილეში არსებულ კანონზომიერებათა გაგებისა და არსებული მენტალიტეტის ფარგლებში ფიქსირებული ცნებითი აზროვნების შესწავლის გზით არის შესაძლებელი.

არაბული და ქართული მაგალითების შედარებით-ტიპოლოგიური ასპექტით შესწავლამ გამოავლინა, რომ მოცემული ენების ანდაზებში ასახული, თითოეული ეთნოსის ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებული სიბრძნე მათთვის სახასიათო კუთხით არის დაფიქსირებული. ამავე დროს, სინამდვილის ამსახველი მოვლენები მოცემული ხალხების მენტალური ხედვის ფარგლებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულად არის კატეგორიზებული. ერთი და იმავე იდეის ფიქსაციისათვის სხვადასხვა ეთნოსი, ერთი მხრივ, საკუთარ „საშენ მასალას“ იყენებს და, მეორე მხრივ – ანალოგიურს. ეს კიდევ ერთხელ ნათელყოფს, რომ სრულიად განსხვავებული ენის, ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის მქონე ხალხები მოცემულ გარემოში არსებულ საგნებსა და მოვლენებს შორის, ხან მსგავსი, ხან განსხვავებული ლოგიკური მიმართებების ფონზე, ანალოგიურ ადამიანურ წარმოდგენებს აფიქსირებენ და ხშირ შემთხვევაში აზროვნების საერთო სისტემას იყენებენ, ანუ სამყაროზე დაკვირვებისა და შემეცნების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე *ცნებითი აზროვნების უნივერსალურ მოდელებს ქმნიან*. ამ მოვლენას „საერთო ფსიქიკური საფუძვლით“ (კიუნგი) – ადამიანთა სტერეოტიპული აზროვნებით, საერთო პრაქტიკული გამოცდილებით და სიბრძნით (უონგ ქინი) ხსნიან.

დღეს, კულტურალური ექსპანსიის ეპოქაში, როდესაც ასე აქტუალურია კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგზე საუბარი, ვფიქრობთ, მის ერთ-ერთ ქვაკუთხედად სწორედ მსგავსი უნივერსალური თემები შეიძლება ჩაითვალოს.

ამდენად, ამგვარი შეპირისპირებითი კვლევა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ისტორიულად და ცნობიერებით რადიკალურად განსხვავებული ხალხების ეთნიკური სპეციფიკის, მათი ეთნოცნობიერების, როგორც განსხვავებული, ისე მსგავსი მენტალური ხედვის გამოსავლენად. ასეთი მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი ხდება, ერთი მხრივ, სხვადასხვა ეთნოკულტურათა იდენტიფიცირება (და ამ ფონზე ეთნიკური იდენტურობის შენარჩუნება), და, მეორე მხრივ, კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა (მათ შორის, განხილულ კონტექსტში კულტურათა ურთიერთგავლენის ჩარჩოების) დადგენა.

არაბულენოვანი მასალა, რომელიც წარმოდგენილი იქნება მოსხენებაში, ჩაწერილი და თარგმნილია არაბული პირველწეაროდან, უშუალოდ არაბი (სირიელი, ლიბანელი) ინფორმანტებისაგან.

K. T u m a n i s h v i l i (Tbilisi)

**Universal Models of Conceptual Thinking
in the Context of Different Cultures**
(on the example of Arabic and Georgian Proverbs)

A proverb is an integral part of the verbal folklore of a given ethnos - “cast” in the mould of the common national consciousness, which is directly linked with speech (speech in its turn, naturally, is expressive of thinking). Accordingly, it qualitatively (both formally and semantically) is the micro-model of the life and mentality of the world where it was created and where it operates. Its basic function is grasping the wisdom seen from the viewpoint of the given ethnos – the general regularities. It is the deep interpretation of the reality, which, as noted above, falls within “the harmonious consciousness” (E.Bern), within the system of the common “mental language” (R.Haskell) and unified national thinking, which of course is expressed by each ethnos in its particular form. In other words, it is constructed of the specific material which is recorded in “the sensory material of perception” of the given ethnos, i.e. in its experience linked with this specific part of the universe. Therefore, it is difficult to understand fundamentally proverbs of a foreign language and to identify the relevant frames (sphere of use) of the respective general semantic domain. Its study implies (along with that of the language) the study of the ethnic peculiarities, the “genetic memory” and ethnopsychology of the people that created it, as the knowledge embedded in proverbs is a resource of the rational of one or another ethnos, its ethnopsychic picture, existing in the form of the irrational.

On the basis of the analysis of the examples it becomes clear that the combined semantic structure of the proverb simultaneously contains elements of logical, verbal and conceptual thinking. Logical, because it reflects logical relations between objects and phenomena existing in the given world; verbal,

because it is a communication unit and, as noted, is essentially linked with speech; and conceptual, because the reasoning and conclusion presented in it is based on conceptual operation.

In the interpretation of the posed question the term “association of ideas (notions)” (J.Locke) proved useful. This concept implies the process on the basis of which psychological perceptions and notions associate with one another and form ideas having a complex, wide sense.

Thus, the decoding of a proverb, which upon its actualization occurs subconsciously in an individual (or individuals), psychologically represents a “creative act”. The process of giving sense going on at this time pertains to adult, mentally formed persons, capable of thinking with concepts (e.g. in children this process occurs on the level of “object thinking”).

The above-mentioned leads us to the conclusion that a proverb comes into being by the simultaneous operation of all the components involved in its creation, indicated above. Each of them is equally important. The objective reality reflected in them on the surface level (obviously) and on the deep level (non-obviously) cannot be regarded as mutually independent objects and phenomena, as they are a whole system of regularities being in a certain conceptual connection by means of logical relations. Accordingly, it is possible to understand a proverb only by gaining deep insight into these connections, understanding the regularities found in the historical reality of the given ethnos and by studying the conceptual thinking recorded within the existing mentality.

The study of Arabic and Georgian examples from the comparative-typological aspect has demonstrated that the wisdom reflected in proverbs of the languages under discussion, based on the historical experience of each ethnos, is recorded from the viewpoint characteristic to them. At the same time, the phenomena reflecting the reality are categorized more or less differently in the world outlook of the given peoples. For recording one and the same idea different ethnoses on the one hand use their own “construction materials” and on the other one – analogous. This demonstrates once again that peoples having totally different languages, national consciousness and culture, against the background of now similar, now different logical relations between the objects and phenomena existing in the given environment, record analogous human ideas and often use a common system of thinking. That is, they create *universal models of conceptual thinking* on the basis of the experience gained in the process of the

observation and perception of the universe. Scholars (including Georgian researcher M. Rusieshvili) quite correctly explain this phenomenon to a certain extent by the general human - "common psychic basis" (K.Jung), stereotyped thinking of human beings, their common practical experience and wisdom (Wang Qin).

At present, in the period of cultural expansion it is so urgent to speak about the dialogue between cultures and civilizations, precisely similar universal topics may be regarded as one of its corner-stones. Thus, such comparative research acquires special importance for the demonstration of the ethnic specificity of radically different peoples as to their history and consciousness, the different as well as similar mentality of their ethno-consciousness. On the basis of such approaches, it becomes possible on the one hand to identify various ethnocultures and against this background to maintain the ethnic identity, and on the other one to establish characteristics of the globalization of cultures (including the boundaries of mutual influence of cultures in the discussed context).

The Arabic material, which will be offered in the presentation, is recorded and translated from the Arabic primary source, directly from Arab (Syrian, Lebanese) informants.

М.-Р. А. И б р а г и м о в (Махачкала)

Динамика языков межэтнического общения народов Дагестана в XIX - XX вв.

В поликультурном многоэтническом Дагестане необходимым условием общения его народов было дву- и многоязычие. Функции языка межэтнического общения в разные периоды времени выполняли несколько языков: кумыкский, азербайджанский, аварский и русский языки. Каждый из этих языков имел свою определенную территорию, а в некоторых случаях и социальную градацию распространения.

Старокумыкский язык (северокавказские тюрки) использовался в переписке с царями и представителями администрации России, а также

при письменном и устном общении народов Северо-Восточного Кавказа. Обучение кумыкскому языку было введено в гимназиях и училищах Владикавказа, Ставрополя, Моздока, Кизляра.

В XIX в. равнинном и предгорном Дагестане языком межэтнического общения был кумыкский, а в северных районах – ногайский язык.

В крупных центрах внутренней и международной торговли (Кизляр, Эндирей, Аксай, Тарки, Карабудахкент, Нижний Дженгутай, Нижнее Казанище, Башлы, Маджалис), где собирались торговые люди из горских селений и городов Дагестана, Кабарды, Осетии, Центральной России, Персии и т. д., функции языка торговли также выполнял преимущественно кумыкский язык.

В связи с популярностью и необходимостью знания кумыкского языка, горцы из соседних даргинских, аварских, а также и из русских селений отправляли в кумыкские селения (в семьи своих кунаков или аталыков) 8-10-летних мальчиков. В течение двух-трех лет они жили как члены семьи, и, разумеется, обучались кумыкскому языку. Знание других языков, особенно кумыкского языка, всячески поощрялось общественным мнением. Р. Гамзатов отмечал: «Раньше во время сватовства расхваливая жениха говорили: „Он знает кумыкский язык" – и это значило, что жених очень знающий человек, с таким не пропадешь».

В начале XX в. многочисленные отходники из числа горцев, наряду со своими родными языками, знали один из тюркских языков (кумыкский или азербайджанский).

- მდედრობითი სქესის ფრინველთა სახელწოდებები დაირთავს მდედრობითობის აღმნიშვნელ სიტყვა-სუფიქსს არცგნა: აკ⁰ტგ „ქათამი“ (ზოგადი სახელწოდება), აკ⁰ტარცგნა „დედალი“, ზედმიწ: „ქათამ-დედალი“.

- ნაშიერთა სახელების გადმოსაცემად ფუძეს ერთვის -ს სუფიქსი: ა-წგს „ჩიტი“; ეს სახელწოდება ასევე გამოიყენება ზოგადად ნაშიერთა (არა მარტო ფრინველთა) სახელწოდებებშიც: აკ⁰ჭგშ^შ აკ⁰ტწგს „წიწილა“. ნაშიერთა -ს სუფიქსიან სახელებს მრავლობითში -ს ჩამოსცილდება და მის ადგილს იჭერს -რა (კრე-

ბითობის სუფიქსი): აწეს „ჩიტ“, აწარა „ჩიტები“.

- ფრინველთა სიმრავლე აღინიშნება კრებითობის -რა სუფიქსით: აკჭა-რა „წიწილები“... ან ნივთთა (არაგონიერთა) მრავლობითობის -ქა სუფიქსით: აყზ-ქა „ბატები“. ზოგჯერ ეს სუფიქსები ერთადაა წარმოდგენილი: აკჭა-რა-ქა „წიწილები“...

- ფრინველთა სადგომის, შემოზღუდული სივრცის აღსანიშნავად ფრინველის აღმნიშვნელ ფუძეს ერთვის -რთა/-თრა სუფიქსი: აწეს-თრა „ჩიტის ბუდე“, აკგტგ-რთა „საბუდარი“.

- ფრინველთა ხმიანობის აღსანიშნავად გამოიყენება ხმაბაძვითი სიტყვები, მაგ., ა-ჭერჭერა „ტიკტიკი“.

მოსენებაში განხილულია აგრეთვე ფრინველთა სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი და ფრინველთა ლექსიკის სემანტიკურ ველში შემავალი ზოგიერთი სხვა სიტყვა, წარმოდგენილია აღნიშნულ წარმოებათა სისშირე, გამოვლენილია ზოგი სახელწოდების მოტივაცია, გამოყოფილია ნასესხები ფუძეები.

N. M a c h a v a r i a n i (Tbilisi)

Semantical and Structural Analysis of Abkhaz Names of Birds

Variety of human's life is reflected in this or that sphere of a language lexical fund. Variety of life defines those peculiarities and diversity, which are observable in inner fragmentation of a lexical fund.

A large part of a basic Abkhazian lexical fund is the names of birds. From the semantic viewpoint birds vocabulary can be divided: the names of female, male and descendants of domestic and wild birds.

The vocabulary denoting birds' dwelling place, parts of a body, sound and diseases must be distinguished separately. This vocabulary gives much noteworthy information on studying the birds' vocabulary and generally, taking into account ethnological and cultural aspects of a language.

From the structural viewpoint, different models are distinguished in

birds' vocabulary:

- the names of birds are represented through an unsigned stem: **a-psaa** 'a bird' (general name), **a-qəz** 'a goose', **a-pqa** 'a crane'...

- a large part of birds names are formed through composition: **anc^oarçəs** 'a nightingale', exactly: 'the God's (their) bird', in which **anc^oa** is 'the God', **-r** a possessive marker of the 3rd person plural, **(a)çəs** 'a bird', **a-mšəŋqəz** 'a swan', exactly: 'a sea goose', in which **a-mšəŋ** is 'a sea', **(a)qəz-** 'a goose', **a-ššayəč** 'a greenfinch', in which **a-šša** is 'fat', **(a)γəč-** 'a thief'.

- A word-suffix **-arbay** 'a cock' denoting male is added to the names of male birds and which is also used with independent meaning (generally) for denoting a cock; **ak^otə** 'a hen' (a general name), **ak^otarbay** 'a hen-cock'.

- A word-suffix **arcəna** denoting female is added to the names of female birds: **ak^otə** 'a hen' (a general name), **ak^otarçəna** 'female', exactly: 'a hen-female'.

- A suffix **-s** is added to a stem for denoting the names of descendants: **a-çəs** 'a bird'; this name is used in the names of descendants, generally (not only of birds): **ak^oçəš** < **ak^oətçəs** 'a chicken'. In plural in the names of descendants **-s** is changed into **-ra** (a collective suffix): **açəs** 'a bird', **açara** 'birds'.

- Plurality of birds is expressed by a collective suffix **-ra**: **ak^oça-ra** 'chickens'... or by a plural suffix **k^oa** of things (of insentients): **aqəz-k^oa** 'geese'. Sometimes these suffixes are represented together: **ak^oça-ra-k^oa** 'chickens'...

- The suffix **-rta/-tra** is added to the stem denoting a bird for expressing a dwelling-place of birds: **açəstra** 'a bird's nest', **ak^oətə-rta** 'a dwelling'.

- Onomatopoeic words are used for denoting sounds of birds: **a-çərçərra** 'twittering' and others.

The paper discusses also the words denoting bird's parts of body and some words entering in the semantic field of bird's vocabulary, also the frequency of the mentioned formations is represented, motivation of some names are manifested, borrowed stems are distinguished.

თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე (თბილისი)

დესტინაცია და ერგატიულობა

დესტინაციის ლინგვისტური მოვლენა მჭიდრო კავშირშია ერგატიულობასთან როგორც სემანტიკური, ისე გრამატიკული პარამეტრების მიხედვით. ორივე არის ობიექტის კატეგორია. ერგატიულობა მწყობრ მორფო-სინტაქსურ სისტემებს ქმნის იმ ენებში, სადაც იგი გამოვლინდება. ასეთი ენები ორ ძირითად ტიპად – წმინდა ერგატიულ და ნაწილობრივ ერგატიულ ენებად იყოფა. პირველი ტიპის ენებში ყოველი გარდამავალი ზმნის სუბიექტი არის მუდამ ერგატიულ ბრუნვაში. ასეთია ბასკური ენა. მეორე ტიპის ენები კი, რომელთაც მიეკუთვნება ქართული, გარკვეულ თავისებურებებს გვიჩვენებს. ასეთ ენებში სხვადასხვა ზმნური ფაქტორი განსაზღვრავს გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვას. ის ხან ერგატივია, ხან ნომინატივი, ან იშვიათად – დატივი. ხშირად ნაწილობრივი ერგატიულობის ენებში ძირითად თავისებურებებს ინტრანზიტული ერგატიულობა წარმოქმნის.

საგულისხმოა ის, რომ რიგ ენებში ერგატიულობა და დესტინაცია (ისევე, როგორც სხვა მრავალი ძირეული მორფო-სემანტიკური კატეგორია) სახელებსა და ზმნებში ერთნაირი მორფემებით გვაქვს წარმოდგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერგატიულობისა და დესტინაციის მოვლენები არის უძველესი ენობრივი ფაქტები, რომლებიც ჯერ კიდევ ზმნასა და სახელს შორის მორფოლოგიური ზღვრის გაჩენამდე არსებობდა. შესაძლებელია, რომ ერგატიულობა და დესტინაცია წინ უსწრებდეს ენათა ფლექსიურ და აგლუტინაციურ ტიპებად ჩამოყალიბების პროცესებს. ამავე დროს უდავოა, რომ ტიპოლოგიური მიდგომა ერგატიულობის საკითხისადმი ერთადერთი და სწორი მეთოდია.

სავარაუდოა, რომ ზოგადად ერგატიულობისა და ნომინატიურობის სისტემათა ზმნურ დიათეზას ფონო-სემანტიკურ ან მორფო-სემანტიკურ ეტიმოლოგიურ საფუძვლად ედოს სუბიექტის კლასის ნიშანი. ამ თვალსაზრისით, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა კავკასიურ ენათა სისტემების ტიპოლოგიური ანალიზი, რამდენა-

დაც ამ ენებში გვაქვს კლას-კატეგორიათა მორფოლოგიური რეფერენცირება. როგორც არნ. ჩიქობავა წერს, “ერგატიულ კონსტრუქციას დასაბამი ეძლევა კლასოვან უღვლილებაში“. ვფიქრობთ, რომ კლასოვანიდან პიროვან უღვლილებაზე გადასვლამ განაპირობა ქართველურ ენებში ერგატიულ კონსტრუქციათა გარკვეული სხვადასხვაობაც. ამ ენათა სინქრონიულ დონეზე შესამჩნევად გაფერმკრთალებულია სემანტიკური ზღვარი კლასისა და პირის კატეგორიათა შორის.

ზმნის გარდამავლობა, ანუ ის სემანტიკა, რომ მოქმედება სრულდება სამოქმედო საგნით, შესაძლოა აკუზატივით ან ინსტრუმენტალისითაც იყოს გადმოცემული. ის შეიძლება იყოს მორფოლოგიურად ზმნის გარეთაც, ანუ იყოს მხოლოდ სემანტიკური, არარეფერენცირებული ზმნური პირი, როგორიცაა, ვთქვათ, ინდოევროპული ტრანზიტული ზმნების შემთხვევაში. მაგრამ აუცილებელია მოქმედის რეფერენცირება, რაც სხვადასხვა ფორმის მარკირებითაა წარმოდგენილი სხვადასხვა ენაში. პირის ძირითადი არსი მდგომარეობს ადამიანი-ნივთის სემანტიკური ოპოზიციის გამოხატვაში. აქ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. **ერგატიული სუბიექტი არის რეალურად აქტიური აქტანტი – ადამიანი, ანუ ვინ-სულიერობის კატეგორიის მქონე მოაზროვნე სუბიექტი.** ეს ტერმინი თავის თავში მოიცავს სხვაობას აგენსსა და პაციენსს შორის. ენათა მიდგომა ვინ-რა კატეგორიათა მიმართ დიდწილად განაპირობებს ერგატიულობისა და ნომინატიურობის დიათეზის შინაარსის ახსნას. ჩვენი ვარაუდით, სუბიექტის რა-უსულო კატეგორია ნომინატიური ბუნებისაა და ვინ-სულიერი კატეგორია კი ერგატიული, აქტიური შინაარსით ხასიათდება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერგატიულობისა და დესტინაციის კატეგორიების ჩამოყალიბებას, უპირველეს ყოვლისა, მეტყველება-აზროვნების კოგნიტიური მოდელები განაპირობებენ. კონსტრუქციათა ზემოსხენებული სხვაობები რეალურად არის კოგნიტიური სისტემების სხვადასხვა ტიპის ფორმათა ლინგვისტური პროექციები.

T. M a k h a r o b l i d z e (Tbilisi)

Destination and Ergativity

Destination and ergativity both are the object categories with specific relationship between each other according to their semantic and grammar parameters.

General semantic opposition in the category of person is who-what opposition and it's very important for ergativity and destination. The ergative subject is who-category, animated subject. This is a real acting argument. We offer a new term for the ergative subject – the “thinking subject”. The point is the distribution of semantics of the who-what category in the subject. The thinking subject of who animated category is in ergative and what-conversional subject is in nominative.

To our opinion ergative and nominative constructions diachronically may show the parallel development.

The different constructions mainly expose the diversities of different speaking-thinking cognitive models.

დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

არნოდდ ჩიქობავას თვალსაზრისი ქართული ზმნის გვარის შესახებ და გვარის გრამატიკული კატეგორიის თეორიის პრობლემები

გვარის კატეგორია ზოგადთეორიული გრამატიკის ურთულეს ადსაწერ და შესასწავლ ობიექტს წარმოადგენს. როგორც უნივერსალური კატეგორია, იგი ძირითადად სემანტიკური ნიშნით განისაზღვრება, რასაც კონვერსიის მოვლენა უდევს საფუძვლად. კონკრეტულ ენებში გვარის განსაზღვრისას თითქოს დაძებნილია გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმები (ფუძის განსხვავებული მოდელეები, განსხვავებული პირის ნიშნები, პირდაპირი დამატების ქონა-არქონა), მაგრამ ირკვევა, რომ ენათა ერთ წყებაში (რომელსაც ქართული ენაც მიეკუთვნება) ზმნური ფუძის ესა თუ ის მოდელი სრულიადაც არ არის დაკავშირებული ერთ რომელიმე

გვართან და საზიაროა მეორესთან; ენათა მეორე წყებაში (რომელსაც, ვთქვათ, ბერძნული და რუსული ენები მიეკუთვნება) პირის ნიშნები საზიაროა სხვადასხვა გვარისათვის; ამავე დროს, გვარის განსაზღვრების არც სემანტიკური და არც სინტაქსური კრიტერიუმში (პირდაპირი დამატების ქონა-არქონა) სრულიადაც არ იძლევა საფუძველს საშუალო გვარის გამოყოფისა. ამ კრიტერიუმებით შეიძლება გამოიყოს რეფლექსიური გვარი აქტიური, სუბიექტისკენ ორიენტირებული მოქმედებით (ამის გამო სვამენ გვარის სტატუსის საკითხს ძირითადად სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ ერთნაირი ფორმის მქონე ზმნათა ჯგუფების მიმართ). მაგ., რუსული ენის გრამატიკის აკადემიურ გამოცემაში შემოაქვთ ძირითადად სემანტიკურად და არა გრამატიკულად (მორფოლოგიური ნიშნით) განსხვავებული სხვადასხვა სახეობის გვარი: რეციპროკი, რეფლექსივი – ამასთან, რეფლექსივის სხვადასხვა – ფორმით ერთი, მაგრამ სემანტიკურად განსხვავებული სახე, და სხვ.

ამგვარად, ზოგადენათმეცნიერულ თუ კერძო ენათა გრამატიკულ ლიტერატურაში გვარის ცნების ერთიანი გაგება არ არის გამომუშავებული. დიდი სირთულეები ახლავს გვარის განსაზღვრასა და აქტივ-პასივის, მედიუმ-რეფლექსივის, როგორც გვარის საოპოზიციო ცალკების გამოყოფის ფორმალური თუ სემანტიკური ობიექტური კრიტერიუმების დადგენას.

გვარის კატეგორიის ასეთი ბუნდოვანი და ხშირად საპირისპირო ინტერპრეტაცია, როგორც ჩანს, დიონისე ტრაკიელის “გრამატიკის ხელოვნებიდან” (სადაც დარღვეულია ცნების დაყოფის წესი და მორფოლოგიურ-სემანტიკური კრიტერიუმით სამი დიათეზაა გამოყოფილი – აქტივის, პასივის და მედიუმისა) გავრცელდა და დამკვიდრდა ევროპული ენების აღწერითს გრამატიკებში. თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით იგივე მოუგვარებელი და გადაუჭრელი პრობლემები დგას, რადგანაც კლასიფიკაცია იმავე პრინციპებითა და სქემით ხდება, როგორც ტრაკიელის გრამატიკაში. აკაკი შანიძემ თითქოს წარმატებით სცადა კლასიფიკაციისათვის სემანტიკურთან ერთად მორფოლოგიური კრიტერიუმიც გამოეძებნა: *ებ/ობ/ევ/ემ/-ი* ენებითის მოდელისათვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ მოდელის ზმნურ ფორმათა უმრავლესობაში სუბიექტი აქტიურია

და, მაშასადამე, ამ კლასიფიკაციაში პასივის დეფინიციასა და ფორმას შორის შესაბამისობა დარღვეულია. გვარის საყოველთაოდ მიღებული დეფინიციიდან თუ ამოვალთ, ეჭვს იწვევს საშუალო გვარის გამოყოფის მართებულობაც და ა. შანიძის კონცეფციაც ამ ტიპის ზმნებში ი- პრეფიქსის აქტივის “სათავისო” ქცევის ფორმათაგან ნასესხობის შესახებ. ამიტომაცაა, რომ არნ. ჩიქობავა ამ ზმნებს უგვარო სტატიკურ ზმნათა რიგში განიხილავს როგორც ისტორიულად, ასევე თანამედროვე ქართულშიც. ებ-ი სტრუქტურის ზმნათაგან კი ‘თბება’ ტიპის ზმნებს ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნებად მიიჩნევს, თუმცა თანამედროვე ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა რიგში ათავსებს.

ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ლენინგრადის ენათმეცნიერულ სკოლაში დაიწყო დიათეზისა და გვარების უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის დამუშავება, რასაც არაერთი კონფერენცია, კოლექტიური თუ ინდივიდუალური შრომა და კრებული მიეძღვნა; მუშაობაში მოსკოვისა და სსრკ-ს სხვა ქალაქების, სხვა ქვეყნების ლინგვისტებიც ჩაებნენ, მაგრამ პრობლემა, ვფიქრობთ, მოუგვარებელი დარჩა, რასაც თვით ამ კონცეფციის მონაწილენიც აღიარებდნენ.

ვფიქრობთ, რომ ეს კვლავ და კვლავ კლასიფიკაციის პრინციპების (კრიტერიუმების) აღრევის შედეგია: აღნიშნული კონცეფციის მიხედვით გვარი განსაზღვრულია (გაგებებულია), როგორც “ზმნაში გრამატიკულად მარკირებული დიათეზა”, ხოლო დიათეზის გაგება კი ეფუძნება – სუბიექტ-ობიექტის, ანუ სემანტიკური პლანისა და – ქვემდებარე-დამატების, ანუ სინტაქსური დონის ურთიერთშესაბამისობას (ა.ა.ხოლოდოვიჩის განსაზღვრებით, “დიათეზა – ეს არის სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესაბამისობის სქემა”). აქ აღრეულია გვარ-სახეობრივი დამოკიდებულება: საკლასიფიკაციო სქემაში დიათეზის, როგორც გვარობითი ჯგუფის გამოყოფის საფუძველი უნდა იყოს მორფო-სინტაქსური პრინციპი, სემანტიკური კი მასზე დაქვემდებარებული სახეობითი ჯგუფებისა. ასეთ შემთხვევაში მოიხსნება ის აპორიები, რომლებიც ახლავს ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობას.

მოსხენებაში ქართული ზმნის მაგალითზე მოცემულია ამ

პრობლემის გადაჭრის გრამატიკული – მორფო-სინტაქსური კრიტერიუმი, რომელიც საშუალებას იძლევა ლოგიკურად გამართული კლასიფიკაციის პირობებში სათანადო ადგილი მიუჩინოს “გვარის” (რომელიც განსაზღვრულია სუბიექტის აქტივობა-პასივობის მიხედვით) ფორმებს: საკლასიფიკაციო პრინციპად აღებულია დიათეზა, რომელიც განსაზღვრულია, როგორც მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ურთიერთშესაბამისობა, ხოლო გვარი, როგორც დიათეზის ქვეკატეგორია, რომელიც სემანტიკური ნიშნითაა დიფერენცირებული.

ამგვარად, დიათეზა არის ქართული ზმნის ძირითადი გრამატიკული – მორფო-სინტაქსური კატეგორია, რომელიც მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით ხასიათდება. ამ ერთიანობის მიხედვით გამოიყოფა სამი დიათეზა:

I R-Ø სუბიექტის ცვალებადბრუნვიანი ნომინატიურ-ერგატიულ-დატიური კონსტრუქცია;

II R-Ø სუბიექტის სტაბილურბრუნვიანი ნომინატიური კონსტრუქცია;

III დიათეზა რომლის I ქვეჯგუფი წარმოადგენს ძირეულ, მარტივი სტრუქტურისა და განმცდელი, სუსტი ნებელობის მქონე სუბიექტის დატიურ კონსტრუქციას, II ქვეჯგუფი კი ნარევი სტრუქტურის (R-Ø, R-ი) დატიური კონსტრუქციის მქონე დიათეზაა, რომელიც მიღებულია I და II დიათეზის ზმნათა ინვერსიის შედეგად.

I დიათეზა

სტატიკური გვარი: ავტოაქტივი//რეფლექსივი სტრუქტურა ძირეული R - Ø; ი-/უ-R [ე/ი]- Ø; prev.-R-Ø	დინამიკური გვარი: აქტივი სტრუქტურა ძირეული, წარმოქმნილი ა-/ი-/უ -R-Ø; ა-/ი-/უ - R [ე/ი]-Ø;
---	--

ა-/ი-/უ-R-th suf.- Ø კონსტრუქცია არასრული [ის – მან ; ის მას – მან მას]	ა-/ი-/უ- R-th suf.- Ø კონსტრუქცია სრული [ის მას – მან ის; ის მას მას – მან მას ის]
--	---

II დიათეზა

სტატიკური (აბსოლუტური სემანტიკა) (უგვარო) სტრუქტურა ძირეული Ø-/ ი-/უ-R-ი კონსტრუქცია არასრული [ის – ის]	დინამიკური გვარი: აგტოაქტივი, აქტივი, პასივი სტრუქტურა ძირეული, წარმოქმნილი Ø-/უ-R-ებ-ი; Ø-/უ-R-დ-ებ-ი; ა-R-th.suf.-ი; ე-R-ებ-ი ი/ე-R-ებ-ი კონსტრუქცია სრული [ის – მას; ის მას – ის მას]
--	--

III დიათეზა

სტატიკური სტრუქტურა ძირეული ი-/უ- R-Ø ი-/უ- R-ი კონსტრუქცია სრული, არასრული [მას – მას; მას ის – მას ის]	სტატიკური, დინამიკური სტრუქტურა წარმოქმნილი ა-R-ებ-Ø ე-R-ებ-ი კონსტრუქცია არასრული, სრული [მას – მას; მას ის –მას ის]
--	--

D. Melikishvili (Tbilisi)

Arnold Chikobava's Standpoint on a Voice of a Georgian Verb and the Problems of Theory of a Voice Grammatical Category

The category of voice is the most difficult object for study and description in general-theoretical linguistics. As the universal category, it is defined mainly by a semantic sign, which is founded on the phenomenon of conversion. In concrete languages, when the category of voice is being defined, there seems to be found grammatical (morphological-syntactic) criteria (different models of stem, different signs for definition of persons, presence or absence of direct object). However, study reveals that in some group of languages (to which also Georgian belongs) this or that model of verbal stem is in no way linked to exclusively one certain voice, but is common with other voice; in other group of languages (to which belong, for instance Greek and Russian) the personal signs are common to different voices; at the same time, neither semantic nor syntactic (presence or absence of the direct object) criteria of voice definition provides us any basis for isolating voice; criteria can isolate reflexive voice by action directed towards subject (that is why the issue of the status of voice is raised in connection with that group of verbs that are the semantically different but have similar form. For instance, in academic editions of Russian grammar are introduced mainly semantically and not grammatically (with a morphological sign) divergent voices of different types: *reciprocals*, *reflexives*; moreover, in case of reflexives are introduced semantically different but in form similar types etc.

Thus, both in general linguistics and in grammatical literature related to particular languages there has not been elaborated a unitary understanding of the notion of voice. Much difficulty is connected with definition of voice and establishment of formal or semantic objective criteria through isolating active-passive, medium-reflexive forms as oppositional units of the voice.

Such an ambiguous and oftentimes contradictory interpretation of the category of voice, as it seems, has been spread and established in descriptive grammars of European languages through Dionysius of Thrace's "Art of Grammar" (where the rule of division of notion is violated and by morphological-semantic criteria are singled out three diatheses: active, passive and medium).

In the modern Georgian grammatical literature there stay the same unre-

solved problems, because the classification follows the schemes and principles set by Dionysius of Thrace. Akaki Shanidze has made, as it seemed to be, a successful attempt to find, besides semantic, also a morphological criterion for classification of voice: *eb/ob/ev/em* for passive model; however, it turned out that in majority of verbal forms within this model subject is active and, therefore, in this classification the correspondence between the definition of passive and the form is not sustained. If we start with the generally accepted definition of voice, the correctness of isolation of medium voice and Akaki Shanidze's conception that in verbs of this type the *i-* prefix is "borrowed" from the reflexive forms is also questionable. That is why Arnold Chikobava lists those verbs in the group of voice-less static verbs both in historical perspective and in modern Georgian. As to the *eb-i* structure verbs, Chikobava considers them historically as voice-less dynamic verbs, however in the modern Georgian he lists them among the verbs of passive voice.

For resolution of those problems in 60-ies and 70-ies of the past century in Leningrad School of Linguistics was initiated elaboration of universal-topological conception of diathesis and voices. Numerous conferences, collective or individual articles and monographs had been dedicated to those issues. Linguists from Moscow and other cities of the Soviet Union were also involved in the researches initiated by the Leningrad school. However, the problem remained unresolved, the fact acknowledged by the creators of this conception themselves.

In our opinion, the failure stems again from blurring the criteria (principles) of classification: according to the just mentioned conception the voice is defined as "grammatically marked diathesis in verb", whereas the understanding of diathesis itself is based upon mutual correspondence of subject-object on the semantic level and subject-object on the syntactic level (by definition of A. A. Kholodovich, "diathesis is a scheme of correspondence between syntactic and semantic levels"). Within such a definition generic-typological relationships are blurred: in the classification scheme the basis for isolation of diathesis as of the generic group should be provided by a morphological-syntactic principle, whereas semantic principle should be applied to the typological groups that are subordinated to it. In this case will be removed those *aporiae* that are linked with incongruity between form and meaning (substance).

The presentation provides grammatical – morphological-syntactic – criterion for solution of this problem. The criterion makes it possible – the condition

of logically coherent classification provided – to give proper place to forms of “voices”: as the classification principle is taken diathesis, which is defined as mutual correspondence between morphological structure and syntactic construction, whereas “voice” is defined as subcategory of diathesis, that is differentiated by a semantic sign.

ო. მ ე მ ი შ ი შ ი (ბათუმი)

მიმღეობის წარმოება ლაზურში

ლაზურში მიმღეობის წარმოება გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე ქართულში, მეგრულსა და სვანურში.

ლაზურში მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმები შემორჩენილია რთულფუძიან სიტყვებში – კომპოზიტებში, სადაც სიტყვის პირველი ნაწილი წარმოდგენილია გენეტივით (მეტწილად ბრუნვის ნიშანი არა ჩანს).

სასუბიექტო მიმღეობა ლაზურ კილოებში იწარმოება აორისტის ფუძისაგან მ- -უ (კურკა-მ-ტა-ხ-უ („კურკის მტეხელი“), მ-მა- -აღ (მ-კიდ-აღ-ე „მშენებელი“, „მასწავლებელი“) აფიქსებით. -აჯ სუფიქსიანმა ფორმებმა (მ-კიბინ-აჯ-ე/ი „მკებნელი“) ფართო გავრცელება ვერ პოვა. -აჯ მეგრული -ენჯ (-ანჯ, -ინჯ) სუფიქსის ფარდია.

საობიექტო მიმღეობა წარმოების თვალსაზრისით ლაზურში სამი ტიპისაა: სუფიქსიანი, პრეფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი.

ნამყო დროის მიმღეობის საწარმოებლად გამოიყენება ყველაზე უფრო გავრცელებული -ერ (-ელ) სუფიქსი, რომელიც მეტწილად მოუდის აორისტის ფუძეს (მეტახ-ერ-ი „მოტეხილი“ ჭარ-ელ-ი „დაწერილი“).

ნამყო დროის პრეფიქსიან მიმღეობათაგან ლაზურში მხოლოდ ნო- პრეფიქსიანი წარმოება დასტურდება (ნო-ჭარ-ე „ნაწერი“, ნო-ყაზ-ე „ნათალი“).

მყოფადი დროის მიმღეობა ლაზურში პრეფიქს-სუფიქსურია; გამოიყოფა ორი ტიპი: **თ-** – **-აღ** (**თ-ქან-აღ-ე** „საჭერი, დასამაგრებელი“, **დოლო-ციგ-აღ-ე** „ჩასასობი“), **თ-** – **-ონ** (**თ-ხენ-ონ-ი** „გასაკეთებელი“, **მე-რჩ-ონ-ი** „დასაგები“).

მიმღეობის მეორე ტიპი დაკავშირებულია მასდარის ფორმებთან. ლაზურში მასდარი იწარმოება **თ-** – **-უ** აფიქსებით (**თ-ჭკირ-უ** „ჭრა“, **თ-ჭარ-უ** „წერა“), რომელიც ქართულში ცნობილ **სა-** – **-ა** ტიპის ეკვივალენტია – **სა-ღმობ-ა-ღ** (არნ. ჩიქობავა).

ლაზური მყოფადი დროის მიმღეობის გამოსახატავად იყენებს ნათესაობით ბრუნვაში დასმულ მასდარს, რაც ქართულში ზოგჯერ მასდართვე გადმოიცემა, ზოგჯერ კი მყოფადის მიმღეობის შესაბამისია (**თ-თქ-უ-ში** „თქმისა“, „სათქმელი“, **მო-შვაჯინ-უ-ში** „დასვენებისა“, „დასასვენებელი“).

უარყოფითი მიმღეობა **უ-** – **-უ** აფიქსებით იწარმოება (**უ-გიბ-უ**), ოღონდ ზმნისწინიან ფორმებში **უ-** პრეფიქსი მოქცეულია პრევერბის წინ.

O. M e m i s h i s h i (Batumi)

Formation of Participle in Laz

In Laz a subjecting participle is formed from a stem of an aorist with **-m** prefix and **-u** suffix.

There are three kinds of subjecting participle: suffixal (**-er**), prefixal (**no-**), prefix-suffixal (**o – al, o – on**). Laz uses masdar in a genitive case to express a future participle.

A negative participle is formed by **u – u** prefix-suffix.

თ. მ ე ს ხ ი (თბილისი)

ტოპონიმ „ატენის“ ეტიმოლოგიისათვის

ტოპონიმ „ატენის“ წარმომავლობასთან დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში (ს. მაკალათია, ატენის ხეობა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი) ასეთი აზრია გამოთქმული: „ტანა ნაწარმოებია სიტყვისაგან „ტინი“, რაც ნიშნავს სალ კლდეს. „ტანა“-დან წარმოებულია „ატენი.“ მკვლევარი ევრდნობა სულხან-საბას განმარტებას: „ტინი არს კლდე დიდი, მაგარი და დაუმშხალველი.“

„ატენი“ ტოპონიმის მნიშვნელობით არაერთგზის დასტურდება როგორც ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, ასევე ლაპიდარულ წარწერებში. მათგან უძველესი ჯვრის კვარცხლბეკის VIII საუკუნით დათარიღებული წარწერაა, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ვეჟან ატენელ მამასახლისის მოსახსენებელი წარწერის სახელითაა ცნობილი.

ატენში გამოვლენილი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები და სამაროვნები მოწმობს, რომ ატენის ხეობა უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. არსებობს ვარაუდი, რომ იბერიის სამეფოს წარმოქმნის შემდეგ ატენი სპასპეტის საგამგებლოში შედიოდა და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. ეს ადმინისტრაციული ერთეული კი IV-VII საუკუნეებში „ტანის ხევის“ სახელითაა ცნობილი.

იბადება კითხვა: რამ განაპირობა VIII საუკუნიდან „ტანის ხევის“ „ატენის ხევად“ შეცვლა და დამკვიდრება?

ატენის ხეობა შიდა ქართლისათვის უმოკლეს გზას წარმოადგენდა ბიზანტიასთან დასაკავშირებლად. ჩვენი აზრით, სწორედ ბიზანტიასთან მჭიდრო კავშირმა განაპირობა „ტანას ხევის“ „ატენით“ შეცვლა.

საქმე იმაშია, რომ ტოპონიმი „ატენი“ (Ατένι) საბერძნეთში, კუნძულ ანდროსზეც გვხვდება. ერთადერთი ვარაუდი, მის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, ასეთია: ძველად ამ ადგილს ეწოდებოდა Αθηναίον (ათინეონ), ვინაიდან ძვ.წ 339 წლიდან ათენელების სა-

კმაოდ დიდი კოლონია დამკვიდრდა ანდროსზე. რომაელთა ბატონობისას სახელმა გარკვეული ცვლილება განიცადა და დამკვიდრდა *Ατένι* – ატენი (დ. პასხალისი).

ჩვენი აზრით, ბერძნული ტოპონიმი *Ατένι* (ატენი) მომდინარეობს ზმნიდან *ατενίω* – **ვხედავ, ვჭვრეტ**. ამის სასარგებლოდ მეტყველებს: I. კუნძული ანდროსი ბიზანტიურ პერიოდში იმპერიის საბაჟოს წარმოადგენდა. გამორიცხული არ არის, ატენის ყურეში ერთ-ერთი საკონტროლო პუნქტი ყოფილიყო განთავსებული. II. ანდროსის მდებარეობა და მთაგორიანი რელიეფი. ატენი ზღვის დონიდან 60 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. იქედან ადვილი შესაძლებელია კუნძულის აღმოსავლეთი და დასავლეთი სანაპიროების კონტროლი. ანდროსს ძალიან ხშირად აწიოკებდნენ სარკინოზი მეკობრეები. სრულიად დასაშვებია, იქ საგუშაგო ჰქონოდათ.

ამ აზრს გვიბეჭითებს მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის ბერძნული სიტყვა *αγνάτι* // *αγνάτιο* (το) – (აღნანდი//აღნანდიო), რომელიც XI ს-ის შემდეგ დამკვიდრდა ბერძნულში და ნიშნავს **ამაღლებულ ადგილს, სათვალთვალს**. *αγνάτι* მომდინარეობს ზმნიდან *αγνατεύω*. ზმნები *αγνατεύω* და *ατενίω* სინონიმებია. ლექსიკოგრაფები ამ ზმნებს ასე განმარტავენ: „თვალს ვადევნებ რაღაცას შორიდან ან მაღლობიდან; მთის მწვერვალიდან ვზვერავ ზღვას“. სიტყვა *αγνάτι* არაერთხელ გვხვდება ტოპონიმადაც. ასე მაგ.: *Αγνάτι* ჰქვია თესალონიკის ბიზანტიური პერიოდის გალავნის ერთ-ერთი კოშკის მიმდებარე ადგილს; *Αγνατία* ჰქვია აგრეთვე კონტინენტური საბერძნეთის რამდენიმე სოფელს. აქედან გამომდინარე, როგორც *αγνάτι* წარმოიქმნა *αγνατεύω* - დან, ისევე წარმოიქმნებოდა *ατενίω* - დან *Ατένι*.

ახლა კი ვნახოთ: შეიძლებოდა, თუ არა, ანდროსის ატენის გავლენით დარქმეოდა ტანას ხეობას „ატენი“?

უცხო ტოპონიმების ქართულ სინამდვილეში გადმონერგვა ძირითადად ორი ფაქტორით აიხსნება: I. ხალხთა მიგრაციები და II. ტოპოგრაფიული „ასლების“ შექმნა. ატენთან მიმართებაში ორივე მოვლენა დასაშვებია.

I. ანდროსელები საკმაოდ კარგად ყოფილან დახელოვნებული ვაჭრობაში. კონსტანტინეპოლსა და მცირე აზიის სანაპირო ქალა-

ქებსა და დაბებში ჰყიდდნენ თავიანთ პროდუქციას: ზეთუნის ზეთს, ღვინოს, აბრეშუმის ქსოვილებს. არ არის გამორიცხული, ანდროსელებს ტანას ხეობაშიც შემოეღწიათ თავიანთი პროდუქციით და იქვე დასახლებულიყვნენ.

II. ანდროსზე ოცამდე დიდი და მცირე ბიზანტიური პერიოდის მონასტერია აღწერილი. ამათგან უმეტესი ატენის მახლობლად მდებარეობს. ისტორიული წყაროების თანახმად, ანდროსის მონასტრები VII-VIII საუკუნეების ბიზანტიის ნამდვილ საგანმანათლებლო კერებს წარმოადგენდნენ, ვინაიდან იმ დროს კონსტანტინეპოლი ვეღარ ასრულებდა ფუნქციას იმ ადრინდელი სულიერების ცენტრისა, სადაც შორეული პროვინციებიდან მიდიოდნენ ცოდნის დასაუფლებლად. არ არის გამორიცხული, ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც უთუოდ იცნობდნენ ანდროსის ატენს, სწორედ ბიზანტიასთან დამაკავშირებელ ცენტრალურ მაგისტრალზე, ტანას ხეობაში დაეარსებინათ მსგავსი სულიერების ცენტრი სახელწოდებით „ატენი“, შემდეგ კი, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, იგივე სახელი ადგილსაც შერქმეოდა.

Ατένι (ატენი), როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიშნავს **ამაღლებულ ადგილს, სათვალთვალს** (მომდინარეობს ზმნიდან ατενίζω – **გჭვრეტ**). ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა: „**დანახვისი** დგას მაღალსა მთასა ზედა, ეკლესია წმიდისა გიორგისა **მჭურეტი** ქართლისა.“ უკეთესი თარგმანის, უკეთესი შესატყვისის პოვნა შეუძლებელია.

ქრისტიანული ტოპონიმების ქართულ სინამდვილეში გადმონერგვა სრულიადაც არ არის უცხო და მოულოდნელი. გავისხენოთ მცხეთისა და თბილისის მიდამოების ბიბლიური და წმიდა ადგილების მიკროტოპონიმები: ბეთლემი, თაბორი, ელეონი, გეთსიმანია, გოლგოთა, ბეთანია, სიონი და ა. შ.

„ატენის“ ჩვენეული ინტერპრეტაციის ფონზე, იმის დაშვებაც შეიძლება, რომ ატენის სიონთან არსებობდა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა გელათისა და იყალთოს აკადემიებს.

T. M e s k h i (Tbilisi)

Toward the Etymology of the Toponym “Athens”

Such viewpoint is formulated on the etymology of toponym “Athens” in the Georgian scientific literature (S. Makalatia “Athens gorge – historico-ethnographic study”): “**Tana** is formed from the word ‘*ṭini*’, which means ‘a cliff’, ‘**Athens** is originated from ‘*ṭana*’. The researcher based on Sul Khan Saba’s explanation: “*ṭini* is a big, firm rock”.

As a toponym **Athens** is repeatedly attested in the old Georgian written monuments as well as in a lapidary inscriptions. Among them the inscription of the Jvari plinth dating back to the 8th century is the oldest. In the special literature this inscription is known as commemorate inscription of the Abbot Vezhan from Athens.

The ruined dwellings and graveyards of the Bronze Age discovered in Athens testify, that the Athens gorge was populated since the ancient times. An assumption exists, that after foundation of the Iberian Kingdom, Athens was incorporated into the domain of army commander-in-chief and was a separate administrative unit. This administrative unit was well-known under the name of **Tani gorge** in the 4th-7th cc.

A question arose: What caused the changing and establishing of **Tani gorge** into **Athens gorge** since the 18th c.?

Athens gorge was the shortest way for contacting to Byzantium for Shida Kartli. We believe, that just this close contact with Byzantium caused the changing of **Tani gorge** into **Athens gorge**.

The point is that, the toponym **Athens** (Ατῆνι) is found in Greece, in an island Andros. The only assumption on its etymology is the following: in old times this place was called Αθηναίον (Athineon), as a large colony of Athenians settled on Andros since 339 B. C. During the ruling of the Romans the name underwent some changes and Ατῆνι – Athens was established (D. Paskhalis).

We believe, that the Greek toponym Ατῆνι (Athens) is originated from ατενίζω – ‘**I see**’, ‘**I watch**’. This is supported by: 1. an island Andros was a custom-house of the Empire in the Byzantine period. It is not excluded, that one

of the control areas was in the Athenian gulf. II. Location and hilly relief of Andros. Athens is situated on 60m height from a sea level. From there it was easy to control the eastern and western coasts of the island. The Saracenic pirates often devastated Andros. It is supposed, that they had a guardpost there.

This viewpoint is supported by a Greek word *αγνάντι* // *αγνάντιο* (το) with the similar semantic meaning, which was established in Greek after the 11th century and means a **high place, an observation point**; *αγνάντι* is originated from a verb *αγναντεύω*. The verbs *αγναντεύω* and *ατενίζω* are synonyms. Lexicographers explain these verbs as the following: "I observe smth. from far away or upland; I spy out a sea from a peak of a mountain". The word *αγνάντι* is often occur as a toponym, e. g.: *Αγνάντι* is the name of a nearby place of one of the towers of Thessalonian town-wall (Byzantine period); *Άγναντα* is the name of some villages of continental Greece. Issuing from this, as *αγνάντι* was originated from *αγναντεύω*, in the same way *Ατέντι* would have been originated from *ατενίζω*.

Now let's see: was it possible or not to give the name **Athens** to **Tana gorge** through influencing of Athens of Andros?

Translating of foreign toponyms into Georgian is explained by two factors: I. peoples' migrations and II. creating the topographic copies. Both factors are supposed with regard to **Athens**.

I. Androsians were well skilled in trading. They sell their productions: olive oil, wine, silk material in Constantinople and in the coast countries of Asia Minor. It is not excluded, that the Androsians reached to Tana gorge with their production and settled there.

II. On Andros about twenty big and small monasteries of the Byzantine period are described. Most of them are nearby of Athens. According to historical sources, the Andros monasteries were the educational cradles of Byzantium in the 7th-8th centuries, as at that time Constantinople could not fulfilled the function of educational centre of that old time, where everybody came from far provinces for acquiring knowledge. It is not excluded, that the Georgian public and state figures, who undoubtedly knew Athens of Andros, would have had founded a similar educational centre under the name **Athens** in the Tana gorge just on the arterial road which contacted them to Byzantium and then, as it happens, the same name was given to a place.

Ατέντι "Athens", as we mentioned means a **high place, an observation**

point (originated from a verb ατενίζω 'I watch'). We believe, that Vakhushti Batonishvili's information is eloquent: "**danaxvisi** dgas mayalsa mtasa zeda, ekleisia çmidisa giorgisa **mçureçi** kartlisa". It is impossible to translate better and to find a better equivalent.

Translating the Christian toponyms into Georgian is not unfamiliar and unexpected. Let's remember micro-toponyms of Biblical and Saint places nearby Mtskheta and Tbilisi: Bethlehem, Tabori, Eleoni, Getsemane, Golgotha, Bethany, Sioni and others.

On the background of our interpretation of **Athens**, it is supposed, that a cultural and educational centre was at the Sioni of Athens, which chronologically outruns the Gelati and Iqalto Academies.

ლ. მ ი ნ ა შ ვ ი ლ ი (თბილისი)

დიდი ენათმეცნიერის ტალანტის მრავალმხრივობა

დიდმა ენათმეცნიერმა არნოლდ ჩიქობავამ ლიტერატურის-მცოდნეობის თვალსაზრისითაც განუზომელი შრომა გასწია. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მომზადებული “ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის” რვატომეულიც ხომ სავსებით საკმარისია ქართული მწერლობისათვის მისი განუზომელი ღვაწლის ცხადსაყოფად.

არნ. ჩიქობავას მეცნიერულ ინტერესებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართული ენის, საერთოდ, და, კერძოდ კი, ქართული სალიტერატურო ენის, მწერლის სტილის პრობლემების შესწავლას.

მხატვრული ლიტერატურის შესახებ წერის დროსაც არ ტოვებდა იგი ენათმეცნიერის პოზიციას. მწერლობა მას, პირველ ყოვლისა, აინტერესებდა ენობრივი თვალსაზრისით. ამ თვალთ ზომავდა რუსთაველსაც და სულხან-საბა ორბელიანსაც, ილიასაც და აკაკისაც, ვაჟასაც და გალაკტიონსაც, გიორგი ლეონიძესაც და

სიმონ ჩიქოვანსაც. ხალხურ ცოცხალ მეტყველებასთან კავშირი მწერლისათვის, საერთოდ სალიტერატურო ენისათვის, სასიცოცხლო მნიშვნელობისად მიაჩნდა. არნ. ჩიქობავას თქმით, **ლექსიკა-სა და ფრაზეოლოგიას** მწერლის ენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქ გამოჩნდება, რა სათქმელი ჰქონდა მწერალს და როგორ შეძლო მისი თქმა. მხატვრული სტილი შემოქმედის ინდივიდუალობას განსაზღვრავს, ხოლო სტილის რაობა-რაგვარობაში **ლექსიკა-ფრაზეოლოგიას** გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის. მწერლის ენის შესწავლა, უწინარეს ყოვლისა, ლექსიკა-ფრაზეოლოგიის შესწავლას გულისხმობს”. დიდი მეცნიერის ამ რიგის მოსაზრებებს მეთოდოლოგიური ხასიათი აქვს.

განსაკუთრებით ფასეულია ლიტერატურისმცოდნეობისათვის არნ. ჩიქობავას ნაშრომები სტილის პრობლემის საერთოდ და, კერძოდ, მხატვრული სტილის შესწავლის თვალსაზრისით.

როგორც გარკვევით მიუთითებენ, სტილის საკითხები ლიტერატურისმცოდნეობით პრობლემათა ცენტრში იდგა და ამჟამადაც დგას. მხატვრული ლიტერატურა ხელოვნების სხვა დარგებისაგან იმით გამოირჩევა, რომ მისი გამოხატვის საშუალებას ენა წარმოადგენს. ამდენად ლიტერატურის, კონკრეტულად მხატვრული ქმნილების სტილის შესწავლაც მეოცე საუკუნის მანძილზე პრაქტიკულად ერთი მიმართულებით, ერთი ნიშნით წარიმართა – კერძოდ, სტილისტიკური დახასიათება დაუქვემდებარდა ლინგვისტიკურ ინტერესებს. მხატვრული ნაწარმოები განიხილებოდა როგორც ტექსტი, ფაქტობრივად ლიტერატურულ-ესთეტიკური მიზნებისაგან მოწყვეტით. ყურადღების ცენტრში დადგა ლიტერატურული ნაწარმოები არა როგორც გარკვეული პიროვნული ბიოგრაფიის მქონე ავტორის შემოქმედების ნაყოფი, არამედ როგორც ენობრივი ფაქტი; როგორც აღნიშნავენ, “ნაშრომები სტილისტიკაში ძალიან ხშირად დაქვემდებარებული არიან ვიწრო აღწერით ამოცანებს” (უელეკი და უორენი).

უნდა გარკვევით ითქვას, რომ არნ. ჩიქობავა არის ის დიდი ენათმეცნიერი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა განაცხადა, რომ ოდენ ლინგვისტიკური ინტერესებით ტექსტის კვლევა არ გულისხმობს ამ ნაწარმოების შესახებ ესთეტიკური შთაბეჭდილების შექ

მნის პირობას; არნ. ჩიქობავამ მოითხოვა ენათმეცნიერული და ლიტერატურისმცოდნეობითი მიდგომების გამიჯვნა. მან პირველმა დაუკავშირა მხატვრული ნაწარმოები ავტორს, მის პიროვნებას, მის მხატვრულ ინტერესებს. არნ. ჩიქობავას სიტყვებით, “პოეტური სტილისტიკა შეისწავლის მხატვრული ნაწარმოების ენას, როგორც მხატვრული შინაარსის გამოვლინების საშუალებას, მისი საგანია პოეტური ენის ექსპრესიული ფუნქცია.” თავად დიდმა მეცნიერმა მოგვცა მხატვრული მეტყველების სტილის ანალიზის თვალსაჩინო ნიმუში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პერსონაჟების მეტყველების მაგალითზე (ლელო ღუნია, გლახა ჭრიაშვილი). ქართულ სინამდვილეში მხატვრული სტილის პრობლემებზე ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი გრიგოლ კიკნაძე თავის “მეტყველების სტილის საკითხებში” ენათმეცნიერთაგან საგანგებო ყურადღების საგნად სწორედ არნოლდ ჩიქობავას მოსაზრებებს იხდის, მის ამოსავალ დებულებებზე დაყრდნობით ავითარებს თავის თვალსაზრისს. სტილის რაობის, ენათმეცნიერული და პოეტიკური სტილისტიკის საზღვრებისა და ამოცანების დადგენის ურთულეს პრობლემებზე მსჯელობისას.

განუზომელი მნიშვნელობისაა არნ. ჩიქობავას ის წერილები, რომლებიც ცალკეული მწერლის როლს ეხება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით და ამ მწერალთა სტილის საკითხებს ამა თუ იმ ასპექტით ახასიათებს.

დიდი მეცნიერი თავის წერილებში ლიტერატურისმცოდნეებს დაბეჯითებით შეახსენებს, რომ მწერლობა მხატვრულ-ენობრივი ფენომენია და მისი კვლევისას არ უნდა მოვწყდეთ ენის წიაღს, როგორც ჭეშმარიტ საყრდენს.

არა მარტო სიტყვის უჩვეულო გრძნობით და თქმის ძალით, არამედ თავისი პიროვნებით, ცოცხალი ურთიერთობებით ბატონი არნოლდი დიდ ზემოქმედებას ახდენდა ქართველ მწერლებზე და, საერთოდ, ლიტერატურაზე.

L. M i n a s h v i l i (Tbilisi)

Versatility of a Great Linguist's Talant

Arnold Chikobava rendered a great work from the viewpoint of literature. "Georgian Explanatory dictionary", prepared under his leadership and direct participating, is sufficient for demonstrating his unmeasurable works for the Georgian literature.

Arn. Chikobava's works are especially valuable for literary studies from the viewpoint of studying of the style problems, generally and in particular, of a creative style.

Almost during the 20th century stylistic characterization of literature was subordinated the linguistic interests. Works of art was discussed as an independent text broken off from literar-aesthetic interests.

Arnold Chikobava was that great scholar, who firstly demanded the disassociating linguistic and literery studies approaching. A great scholar personally gave as an obvious model of stylistic analysis of a creative speech on the examples of Ilia Chavchavadze's characters (Lelt Gunia and Glakha Tchriashvili).

მ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე (თელავი)

**გრამატიკული კლას-კატეგორია წოვა-თუშურში
ინტერფერენციის თვალსაზრისით
(წოვა-თუშურ-ქართული ორენოვნების მასალების მიხედვით)**

წოვათუშურ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ორენოვანი სიტუაცია მდიდარ მასალას იძლევა ინტერფერენტულ პროცესთა მასშტაბებისა და შედწევადიობის სიღრმის საკითხთა კვლევისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გრამატიკული კლასის კატეგორია, როგორც სისტემებრივად ყველაზე შეკრულ-შემოსახული რგოლი წოვა-თუშურის მორფოლოგიისა.

ინტერფერენციულ პროცესთა გაფლენით გრამატიკულმა კლასმა, როგორც სემანტიკურმა კატეგორიამ, გარკვეული ცვლილებები განიცადა:

ა) გართულდა ნასესხებ სახელთა კლასებს შორის განაწილება, რადგან მათი ბგერითი და შინაარსობრივი მხარეები ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო აღმოჩნდა წოვა-თუშური ენობრივი ფსიქოლოგიისათვის. ამ მიზეზით კლასი ნასესხები სახელისა აზრთა სხვაობის საგანი ხდება ბილინგვთა შორის. მაგალითად: სიტყვა **ბორჯომ** (ბორჯომი, მინ. სასმ.წყალი) სოფლის ერთ უბანში ბგერითი ანალოგიით ნივთის „ბ“ კლასს მიაკუთვნეს, მეორე უბანში კი წყალთან შინაარსობრივი ანალოგიით ნივთის „დ“ კლასში მოაქციეს; ამავე მიზეზით აღმოჩნდა სიტყვა **ბორშ** (ბორში, სუფი) ორ სხვადასხვა „ბ“ და „დ“ კლასებში...

ბ) დაიწყო ქალისა და მამაკაცის კლასების ადამიანის ერთ ზოგად კლასად უნიფიცირების საინტერესო პროცესი. განზოგადების საშუალებად გამოყენებულ იქნა ნივთის კლასის ნიშანი „დ“, რაც არაა შემთხვევითი, რადგან „ნივთის კატეგორია აბსტრაქტულობის გამოხატვას გაცილებით უკეთ ეგუება, ვინემ ადამიანის კატეგორია“ (არნ. ჩიქოვაბა).

განზოგადების ეს პროცესი ხელობისა და მოსაქმეობის სახელებს ეხება და განვითარების სამ საფეხურს წარმოგვიჩენს:

ზოგი სახელი მხოლოდ განზოგადებული კლასის ნიშნით იხმარება; ზოგიერთ სახელთან კონკრეტული და განზოგადებული კლასები პარალელურად გამოიყენება; ზოგიერთ სახელს ეს ინტერფერენტული ინოვაცია ჯერ არ შეხებია.

I საფეხური: ლაწმარ (ავადმყოფი), ღათთაგ (მონა), ტუსად, მაყარ... („დ“ კლასი);

II საფეხური: ნაყბისტ (მეგობარი), მასპინძელ, მდგმურ, მეხოხელ... („დ“ // „კ“, „დ“ კლასები);

III საფეხური: უჩიტელ, ინუინერ, დირექტორ, ნოქარ... („ვ“ და „დ“ კლასები).

სხვა მდგომარეობაა, როცა კლას-კატეგორიას მორფოლოგიის თვალსაზრისით ვიხილავთ; ინტერფერენტული პროცესები დღემდე უძლური აღმოჩნდა რაიმე სახის ცვლილება შეეტანა მასში. მიუხე-

დავად იმისა, რომ კლასის კატეგორიას ანალოგიური, ზმნასთან აქტანტთა დაკავშირების ფუნქციით გვერდში ამოუდგა დიდი ხნის წინ შექმნილი პირის კატეგორია, ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო კლას-კატეგორიის შეცვლა, უფრო მეტიც: სახელის კლასის აღნიშვნა ზმნაში ისევე სავალდებულოა, პირის აღნიშვნა კი კვლავ ალტერნატიული რჩება.

M. M i k e l a d z e (Telavi)

Grammatical Class Category in Tsova-Tushian Language According to the Interference

(according to Tsova-Tushian-Georgian bilingual materials)

The ancient bilingual characteristics of Tsova-Tushian-Georgian give valuable material for researching the issues regarding the interference and penetration. The most significant appears to be grammatical category which is the most completed circle of Tsova-Tushian morphology. Under the influence of interference processes grammatical class as a semantic category undertook certain changes:

- a) The distribution of the borrowed words among the classes became complex, as their phonetic and contextual sides appeared controversial to Tsova-Tushian lingual psychology in certain cases. Thus, there are different opinions about the class of borrowed words among the bilinguals.
- b) The interesting process of uniting male and female classes under the general class has started. The marker **d** indicating the class of things became the means of generalization. Such cases are not accidental as “the category of the thing acquires the expression of abstract phenomenon more easily than the category of human”(Arn.Chikobava).

The process of generalization concerns handicraft which offers three stages of development. Some names are used only under the marker of generalization. In some cases the names of concrete and generalized classes are used in parallel degree. But some classes have not taken abovementioned innovation of interference yet.

There are some other cases defining class category according the morphological viewpoint: the process of interference appeared unable for realizing any kind of changes in it. Notwithstanding the fact that the category of class acquired the analogical pattern of the category of form the function of connecting verb actant. The category of for could not change the class category, moreover: indication the marker of the names is still obligatory, as for indication of form markers still remains alternative.

М. К. М у с а е в а (Махачкала)

К изучению семантики терминов родства (на примере хваршинского языка)

За последние десятилетия, в связи с пробуждением общественного интереса к генеалогической проблематике, исследователи все чаще стали обращать внимание на семантику и прагматику некоторых ключевых понятий родства.

Система родства, будучи исторически сложившейся организацией отношений и поступков, обязанностей и прав внутри социума, выступает как базовое условие человеческой жизни, как мощный фактор защиты социальных и этнических общностей от нравственного и физического вырождения.

Подчеркивая значение изучения системы родства по устоявшейся в этнографии описательной традиции, заметим, что обращение к лингвосемиотическим и лингвокультурологическим методам анализа позволяет полнее представить существенные детали и нюансы специфики родственных отношений и социальной самоорганизации конкретных народов. Ведь родство выражается не только в номенклатуре терминов родства, но и, прежде всего, в их понятийном, семиотическом, знаковом и иных значениях. Представления о различных функциях и отношениях родства выступают в данном случае в роли пропозиций, задающих определенные правила языкового и неязыкового поведения. А взаимное соответствие пропозиций и стандартов поведения во временной и

пространственной определенности позволяет говорить о наличии своего рода «цепи» лингвокультурогенеза.

По кавказской традиции каждый (особенно мужчина) обязан знать восходящую линию своего родства (то есть свою родословную) в идеале до седьмого колена. В результате образуется круг наиболее близких и дальних родственников, для обозначения которых используются соответствующие синтагмы родства. Самыми близкими у хваршин, одного из малочисленных народов Дагестана, считались родственники до 4-го поколения (**къенлъи**): **ыс** – брат, **ыс** – сестра различаются по контексту; **вацагъав** – двоюродный брат, **яцагъав** – двоюродная сестра; **себегъав** – троюродный брат, **себагъай** – троюродная сестра; **клебагъав** – четвероюродный брат, **клебагъай** – четвероюродная сестра.

Люди одного корня (**къибилос**) у хваршин составляли группу родственников – **тухум**. В тухуме различали: **къемыс** – родственники; **къем-кIакIас** – люди нашей головы и ног; **божи-боркъи** – люди, которым доверяем (семейные дела); **михъесло къенлъи** – дальние родственники; **къенлъи литIгIу** – люди, стоящие в конце родства (отдаленные родственники).

Хотя у хваршин и существуют специальные термины, обозначающие отношения родства по браку (**холус ищу** (свекровь), **гъинас ищу** (теща), **музо** (зять), **хосус ыс** (деверь); **гъинас ыс** (шурин) и т.д.), используются они только в косвенной речи. Использование этих слов при прямом обращении к свойственникам считается неприличным.

Термины родства имеют групповое значение и охватывают широкий круг лиц. Причем, каждой группе родственников, при проведении различных семейных или тухумных (фамильных) мероприятий отводится определенная обычаями роль. Родственные группы и обозначающие их языковые единицы (эквиваленты, термины) в обыденном сознании хваршин ассоциируются с конкретными лицами, представляющими эти группы.

M. M u s a e v a (Makhachkala)

The Study of Semantics of Cognation Terms (on the example of Khvarsh)

In the later decades, researchers more often begin to pay attention to semantics and pragmatics of some key notions of cognation, in connection with awakening of public interest to genealogical problems.

The system of relationship, historically formed organization of relations and behavior, duties and rights within society, acts as a basic condition of human life, as a powerful force of protection of social and ethnic communities from moral and physical degeneration.

Emphasizing the importance of study of cognation system according to established descriptive tradition in ethnography, we must notice that reference to linguosemeiotic and linguoculturological methods of analysis allows producing essential details and shades of specificity of kin relations and social self-organization of some concrete nations. Kin relations are expressed not only in nomenclature of cognation terms, but first of all in its notional, semeiotic, sigh-oriented and other meanings. The ideas of different functions and kin relations act in this case as propositions, setting concrete rules of lingual and non lingual behavior. Mutual correspondence of propositions and standards of behavior in temporary and spatial clearness allows to speak about the presence of something like “a chain” of linguoculturegenesis.

By a Caucasian tradition every person (especially man) must know his ascending line (namely his family-tree) theoretically to the seventh generation. As a result there formed a circle of close and distant relatives, and to denote them they use corresponding syntagma of cognation. The closest relatives that the Khvarshins (one of the thin ethnic group of Daghestan) had were relatives to the fourth generation (**qenl'i**): **əs-** brother, **əs-** sister, differs in context; **wacahaw** – cousin, **jacahaw-** cousin; **sebehaw**-second cousin, **sebehaj-** second cousin; **ķebahaw-** third cousin; **ķebahaj-** third cousin.

People of one root (**ṭibilos**) of the Khvarsh made a group of relatives-**tuxum**. In **tuxum** there were: **qeməs-** relatives; **qem-ķaķas-** people of our head and feet; **boži-bortṭi-** people, whom we trust (family affairs); **miqeslo qenl'i-**

distant relatives; **genl'i liḡu**- people who are at the end of kinship (distant relatives).

Though the Khvarshes have special terms, denoting cognation terms of marriage (**xolus iḡu** (mother in law), **ḡinas iḡu** (mother in law), **muzo** (son-in-law), **xosus əs** (brother-in-law); **ḡinas əs** (brother-in-law), etc.), they are used only in indirect speech. The usage of these words in direct speech is considered to be impolite.

The cognation terms have a group meaning and seize a wide circle of people. Every group of relatives has its own customs during different family or tukhum holidays. Relative groups and denoting them units of language (equivalents, terms) in ordinary consciousness of the Khvarshes are associated with concrete persons, representing these groups.

С. М. М у с а е в а (Махачкала)

К вопросу о личных именах в дагестанских языках

